# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№64 (25.088) სამშაბათი, 20 - 21 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდამთიან რაიონებში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

## კრიალოსანიუსი

2023 წლის 1 ივლისიდან ბავშვის ბენეფიტის ოდენობა, თითოეულ 16 წლამდე ასაკის ბავშვზე, 150 ლარიდან 200 ლარამდე გაიზრდება. გუშინ მთავრობის სხდომაზე, რომელსაც პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა, შესაბამისი დადგენილების პროექტი მინისტრთა კაბინეტის წევრებმა განიხილეს. ცვლილება შეეხება დაახლოებით 233 000 ბავშვს. პროგრამის ბიუჯეტი ნახევარ მილიარდ ლარამდეა.

* * *

„ნაცმოძრაობა“, „ლელო“, გახარია, ვაშაძე, „გირჩი“ და ა.შ. ყველა ეს პარტია არის კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ. მისი თქმით, ისინი ხელოვნურად, ფორმალურად არიან დაყოფილი პარტიებად. „მათ აქვთ ერთი საფუძველი, საწყისი და საერთო მომავალი. სინამდვილეში ისინი არიან კოლექტიური „ნაცმოძრაობა“. დანარჩენი უკვე მათემატიკის ამბავია, რითაც არაფერი შეიცვლება“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

* * *

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერები გიორგი ვაშაძე და სერგო ჩიხლაძე აშშ-ში გაემგზავრნენ. პარტიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ვიზიტის მთავარ თემებს აშშ-სა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს, საუბარი იქნება ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებზეც. „იქნება შეხვედრები სახელმწიფო დეპარტამენტში, სენატსა და კონგრესში. გვექნება საქართველოს უსაფრთხოების შესახებ საუბარი. ასევე, თითქმის ყველა ექსპერტულ ორგანიზაციაში, რომლებიც საქართველოზე მუშაობენ. იქნება სპეციალურად მოწყობილი მრგვალი მაგიდის ფორმატი ატლანტიკურ საბჭოში საქართველოს საკითხებზე,“ - აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

* * *

პარლამენტში სუროგაციაზე მსჯელობა იწყება. ცვლილებებით, ინვიტრო განაყოფიერება და სუროგაცია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის იქნება დაშვებული, იკრძალება სუროგაციასთან დაკავშირებით რეკლამების განთავსება, ასევე, სუროგატებისთვის ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, სხვა ტიპის კომპენსაციის მიღება. პარლამენტის პირველ ვიცე-სპიკერ გიორგი ვოლსკის განცხადებით, სუროგაციის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს სტანდარტი, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში გააჩნიათ.

მოამზადა
ია შველიძემ

# კვლევის მიხედვით, აჭარაში ზღვის წყლის ხარისხი გაუმჯობესებულია და სრულ თანხვედრაშია დასაშვებ ნორმებთან

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

*გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ ზღვის წყლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, სარფი-ჩოლოქის მონაკვეთზე 7 წერტილში (ბათუმის ცენტრალური პლაჟი, აკვაპარკის მიმდებარე ტერიტორია, კვარიათი, სარფი, ქობულეთის ცენტრალური პლაჟი, ბობოყვათის მიმდებარე ტერიტორია და მწვანე კონცხი) ზღვის წყლის ბაქტერიოლოგიური კვლევები ჩაატარა*

ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. მათი ცნობით, ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების მიხედვით, ზღვის წყლის ხარისხი მთელ პერიმეტრზე, 7-ვე წერტილში დასაშვები ნორმის ფარგლებშია და იგი შარშანდელ მაჩვენებლებთან შედარებით გაუმჯობესებულია. მიმდინარე წელსაც, როგორც ყოველთვის, ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები დაფიქსირდა სარფი-კვარიათისა და მახინჯაური-მწვანე კონცხის ტერიტორიებზე, დადებითი მაჩვენებლებია დანარჩენ წერტილებშიც.



კვლევები ტარდება შემდეგ მაჩვენებლებზე: ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები, ლაქტოზა დადებითი ნაწლავის ჩხირები, ენტეროკოკი, კოლიფაგები, სალმონელას ბაქტერიები. სინჯების აღება ხდება მცურავი საშუალების გამოყენებით ნაპირიდან 50 მეტრის რადიუსში.

# ქართული ოპერა „დაისის“ პრემიერა არა მარტო გაიმართება მასიმო ბელინის თეატრში, არამედ...

***როგორც ახლახან თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა შეგვატყობინა, 21 ივნისს სიცილიის, კერძოდ, კატანიის მასიმო ბელინის საოპერო თეატრის სცენაზე გაიმართება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ პრემიერა, რომელიც ქართველმა რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ იტალიაში დადგა***

თავდაპირველად, პროექტის მიხედვით აღნიშნულ თეატრში „დაისი“ მხოლოდ სამჯერ უნდა გასულიყო, მაგრამ ბელინის საოპერო თეატრის სამხატვრო საბჭოსა და დირექტორატის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ თეატრის მოქმედ რეპერტუარში დარჩენილიყო.

„საოცრად სასიხარულო ამბავია, ვულოცავ გოჩა კაპანაძეს, ასევე, ისტორიული პროექტის ავტორ ბადრი მაისურაძეს, წარმომიდგენია, რა გახარებულები ხართ, ვიზიარებ თქვენს სიხარულს და გამარჯვებას“, - წერს სოციალურ ქსელში ლაშა ჩხარტიშვილი.

ვფიქრობთ, ეს სასიხარულო ფაქტი კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ დიდი აზრი და მნიშვნელობა აქვს ქართული ხელოვნების პროპაგანდას უცხოეთში, რადგან ეს შეუმჩნეველი არასოდეს რჩება, მსოფლიო სათანადოდ აფასებს ქართული კულტურის სიმაღლეებს, ეს კი ზრდის ჩვენს მნიშვნელობას საერთაშორისო არენაზე და თავის როლს ასრულებს ევროპულ ოჯახში საქართველოს ინტეგრირებისთვის.

იტალიაში დადგმული „დაისის“ დეკორაციები და კოსტიუმები გიორგი ალექსი მესხიშვილს ეკუთვნის, განათების დიზაინი - დავით მაჭარაშვილს. საოპერო სპექტაკლში მონაწილეობენ თბილისის ოპერისა და ბალეტის საქართველოს ეროვნული თეატრი (დირექტორი - ბადრი მაისურაძე, დირიჟორი - ზაზა აზმაიფარაშვილი) და კატანიის თეატრი Massimo Bellini.




ბელინის საოპერო თეატრის სოლისტები და გუნდი ორ თვეზე მეტია ქართულ სასიმღერო ტექსტებს სწავლობენ და ხვეწენ.

საოპერო აფიშაზე ვკითხულობთ, რომ მალხაზის პარტიას მატეო ფალსიერი შეასრულებს, კიაზოს - დომენიკო ბალზანი, მაროს როლში ევა კორბეტა მოგვევლინება, ნანოს პარტიას ანასტასია ბოლდირევა იმღერებს, ტიტოს როლს - რობერტო კრესკა, ცანგალას კი გიორგი ანდღულაძის შესრულებით გაეცნობიან ოპერის იტალიელი მოყვარულები.

საგულისხმოა, რომ ამ ორ თეატრს შორის გაფორმდა დაძმობილების ხელშეკრულება, რომელიც სხვადასხვა კულტურის მხატვრულ, კულტურულ და მუსიკალურ სფეროებში ურთიერთგამოცდილების გაცვლასა და გაზიარებას ითვალისწინებს.

სიცილიის მასიმო ბელინის საოპერო თეატრის სცენაზე სპექტაკლის განხორციელება, უდავოდ, დიდი პასუხისმგებლობაა რეჟისორ გოჩა კაპანაძისა და მთელი შემოქმედებითი კოლექტივისთვის. უცხო სცენაზე,უცხო შემსრულებლებთან მუშაობა და მათთან ერთად ქართული ოპერის დადგმა გაცილებით მეტს მოითხოვს დამდგმელი რეჟისორისგან.

თეატრის წინ უკვე გამოკრულია აფიშები, წინა პლანზეა გოჩა კაპანაძის პორტრეტი. ასე გამოხატავენ პატივისცემას და მადლიერებას ბელინის თეატრისა და სიცილიის კულტურის სფეროს წარმომადგენლები ქართველი რეჟისორისადმი.

იხ. მე-7 გვ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# სახელმწიფო სრულად დააფინანსებს ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას

**ნაილე ხერთვისელი 27 48 93**

***მთავრობის გადაწყვეტილებით, ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას სახელმწიფო სრულად დააფინანსებს***

როგორც მთავრობის სხდომის შემდეგ ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა: „ღვიძლის გადანერგვის შემთხვევაში 120-ათასლარიან ოპერაციას სახელმწიფო აფინანსებდა მხოლოდ 70 ათასი ლარით. მივიღეთ გადაწყვეტილება, სრულად დავაფინანსოთ როგორც დიაგნოსტიკის, ასევე ოპერაციის ხარჯები. ღვიძლის ტრანსპლანტაციის შემთხვევაში 120 ათას ლარს დღეიდან, სრულად სახელმწიფო დაფარავს“.



# საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

***საქართველოსა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციების ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში უკვე მეორედ გაიმართა საქართველოს ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატი ჭადრაკში შშმ პირთა შორის***

ტურნირი წრიული სისტემით შვიდ ტურად ჩატარდა.

როგორც ტურნირის დირექტორმა, აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, საერთაშორისო დიდოსტატმა სალომე მელიამ გვითხრა, საკმაოდ კარგად გამოვიდნენ აჭარის წარმომადგენლები, გათამაშებული ექვსი მედლიდან, სამი მათ მოიპოვეს.

ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა:

პირველ ადგილზე 7-დან 6,5 ქულით, ქუთაისელი ლერი ტალიკაძე გავიდა, მეორეზე - ბადრი ბოლქვაძე (ბათუმი), მესამეზე - რომან წითელაძე (ქედა).

ქალებში პირველი ადგილი ანანო გოგონაძემ (ქუთაისი) დაისაკუთრა, მეორე - ანა მგელაძემ (ბათუმი), მესამეზე კი მარგალიტა ნათელაური (თბილისი) გავიდა.

საპრიზო ადგილებზე გასული



მოჭადრაკეები მედლებით, დიპლომებითა და თასებით დაჯილდოვდნენ, ტურნირის ყველა მონაწილეს სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა.

# კურორტისპირა სოფელში წყლის სისტემას აწესრიგებენ

**თამაზ მგზავრიძე 27 48 94**

**დანისპარაული სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის მოსაზღვრე სოფელია**

აქ გადის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალი. სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებას ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას უთმობს. ახლა დანისპარაულში, 25 ოჯახისათვის სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს წყლის სათავე ნაგებობის და გამანაწილებელი აუზის მოწყობას, 4 კილომეტრზე მილების ჩაწყობას.

პროექტის ღირებულება 75 988 ლარია. სამუშაოებს ხულოს მერიის დაკვეთით, კონტრაქტორი კომპანია შპს „ნირა“ ასრულებს.

სამუშაოების მიმდინარეობას ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, ეკონომიკ-



ური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზაზა აბულაძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რამაზ გელაძე გაეცნენ.

# სიგელებით დააჯილდოვეს

**ცოტნე ცაბაძე 27 48 94**

***მეზობელი თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარმა მიწისძვრამ, დაზარალებულთა ძებნის სამუშაოებმა მსოფლიოს ყველა ქვეყნის თანადგომა მოითხოვა. გამონაკლისი არც საქართველო იყო***

აჭარიდან თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის მეხანძრე-მაშველები მონაწილეობდნენ დაზარალებულთა ძებნით სამუშაოებში და ოპერატიულობისა და საზრიანობის მაგალითები აჩვენეს. აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქედის სახანძრო-სამაშველო განყოფილებიდან სამაშველო ოპერაციაში დავით დიასამიძე და მანუჩარ დიასამიძე იყვნენ ჩართულნი. ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ ისინი მადლობის სიგელებით დააჯილდოვა და როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.



# ხსოვნის ტურნირი

**ცოტნე ცაბაძე 27 48 94**

***ხულოში ბადრი ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩატარდა ფეხბურთში***

იგი ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით ექვსი გუნდი ასპარეზობდა.

ფინალში ერთმანეთს გუნდები „რიყეთი“ და „აბხა“ დაუპირისპირდნენ. გაიმარჯვა „აბხამ“, მესამე ადგილზე „ქედლები“ გავიდა.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების ფეხბურთელებს თასები, მედლები, სიგელები და ფულადი ჯილდო ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა გადასცეს.

ტურნირი ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხიხანი“-ს ორგანიზებით ჩატარდა.



## ამბები

# შაბათ–კვირის ქრონიკა

საქართველოსა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციების ერთობლივი ორგანიზებით, ბათუმში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში შშმ პირთა შორის, როგორც ვაჟთა, ასევე გოგონათა შორის. აჭარის გუნდმა სამი მედალი მოიპოვა - ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო. გოგონათა შორის ჩემპიონის ტიტული ანანო გოგონაძემ მოიპოვა, ბათუმელი ანნა მგელაძე ვიცე-ჩემპიონი გახდა, მარგალიტა ნათელაური კი ბრინჯაოს დასჯერდა. ვაჟთა შორის პირველ ადგილზე ლერი ტალიკაძე გავიდა, ვერცხლი ბათუმელ ბადრი ბოლქვაძეს ერგო, ბრინჯაო კი ქედის წარმომადგენელმა რომან წითელაძემ მოიპოვა. ტურნირი წელს მეორედ ჩატარდა.

* * *

„მერების შეთანხმების“ ინიციატივის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები განიხილეს კომუნიკაციის მენეჯერებთან გამართულ შეხვედრაზე. სემინარის მონაწილეებმა „ბათუმის ავტოტრანსპორტში“ ელექტროავტობუსები დაათვალიერეს, ხოლო დასუფთავების სამსახურში - პლასტიკისა და მუყაოს ნარჩენების საამქრო. შეხვედრა „მერების შეთანხმება აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, ევროკავშირის მიერ იყო ორგანიზებული. ბათუმის მერია „მერების შეთანხმებას“ 2011 წელს შეუერთდა და შეიმუშავა ბათუმის მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის მიზნით. ბათუმის მერიამ უკვე განახორციელა არაერთი პროექტი, მათ შორის: სრულად განახლდა მუნიციპალური ავტობუსების პარკი. გარდა ამისა, 2020 წლიდან მგზავრებს 8 ელექტროავტობუსი ემსახურება. ბათუმი პირველი ქალაქია სამხრეთ კავკასიაში, სადაც ელექტროავტობუსები მოძრაობს.

* * *

დასრულდა ბათუმის პარაოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით გამართული აჭარის თასის გათამაშება პარაფეხბურთელთა შორის. შეჯიბრებაში ოთხი გუნდი მონაწილეობდა, ბათუმის „ბათუმი“, ზესტაფონის „მარგვეთი“, თბილისის „თბილისი“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. ფინალში ერთმანეთს „ბათუმი“ და „მარგვეთი“ დაუპირისპირდნენ. მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით 4:3 დასრულდა და აჭარის თასის პირველი გათამაშების მფლობელი სწორედ ზღვისპირული გუნდი გახდა.

* * *

აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საბავშვო თეატრალურმა დასმა ექსპერიმენტული სპექტაკლი „წუნა და წრუწუნა“ შესთავაზა მაყურებელს. რევაზ ბაინაზიშვილის რეჟისორობით დადგმულ წარმოდგენაში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლისა და აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები იყვნენ ჩართულნი. გაიმართა მათი ნახატების გამოფენაც. მონაწილეები სიმბოლური სიგელებით დააჯილდოვეს.

* * *

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ არამატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ მომზადებული ვიდეორგოლის პრეზენტაცია მოაწყო. ამ ეტაპზე აჭარის ტრადიციული კულტურის სამ ელემენტს უკვე მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ესენია „ბორანოს მომზადების წესი და ტრადიცია“, „განდაგანა და მისი ხალხური საწყისები“ და „ტრადიციული აჭარული ნაქარგობა“.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# „ორპოლუსიან ბრძოლაში მმართველ პარტიას გამარჯვების მეტი შანსი აქვს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69



*2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დროს რომ ფეხი აუწყონ და კარგი შედეგები მოიპოვონ, პარტიები ამისთვის უკვე ამთავითვე ზრუნავენ. ერთიანი ხედვა და ქვეყნის უკეთესი მერმისისთვის მიზანმიმართული მოქმედება ამ ეტაპზე ის აუცილებელი პირობაა, ყველა პარტიას რომ უნდა ახასიათებდეს, მით უფრო, როცა საშიშ გეოპოლიტიკურ რეალობაში გვიწევს ცხოვრება. როგორ აქვთ ეს გაცნობიერებული ქართველ პოლიტიკოსებს, ადამიანებს, რომლებსაც სურთ, რომ მომავალში ჩვენი ცხოვრების კანონმდებლებად მოგვევლინონ? რამდენად მოსალოდნელია დიდი ოპოზიციური გაერთიანება? რა არის უმთავრესი ამ ეტაპზე? კურსი, საითკენაც მივისწრაფვით, რას მოითხოვს ჩვენგან? როგორ პოლიტიკას ვატარებთ ევროინტეგრაციისთვის, რა პრობლემები იჩენს თავს და რა გზა არსებობს მათ გადასაწყვეტად? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე თავის თვალსაზრისს „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი და ამავე დროს ბათუმის საკრებულოს წევრი ვაშა დარჩია გვთავაზობს*

**- როგორ დაახასიათებდით ქვეყანაში არსებულ ვითარებას?**

- ქვეყანაში არასახარბიელო ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაა. გულდასაწყვეტია ჩვენი ხელისუფლების ანტიუკრაინული პოზიცია და რუსეთთან ენის მოჩლექით საუბარი, მით უფრო რუსეთიდან ჩამოსული მოქალაქეებისათვის გამარტივებული სავიზო რეჟიმის ამოქმედება, რაც არ შეესაბამება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს.

**- ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა საკითხზე ოპოზიციის ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებენ და დასძენენ, რომ ქვეყნის წინსვლისთვის ქმედით ნაბიჯებს დგამენ...**

- ყველა საერთაშორისო შეხვედრაზე ჩვენს ხელისუფლებას აშკარად აკრიტიკებენ რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკის გამო. ეს პრაგმატული, არგაღიზიანების პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით საქართველოს კარგს არაფერს უქადის, ამის ყველაზე მკაფიო გამოვლინება იყო ის, რომ მმართველი პარტია ორბანთან (უნგრეთის პრემიერი) დითირამბების პოლიტიკის გამო მოკვეთეს ევროპული სოციალისტური ბანაკიდან, მათ არ ჰყავთ ლობისტი ევროპარლამენტში. ეს საგანგაშოა მით უმეტეს, როცა ქვეყანა კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია.

**- სხვათა შორის, მმართველი გუნდი აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის ვიზიტი ბრიუსელში ნაყოფიერი იყო და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის გაღრმავებას ემსახურებოდა...**

- „ქართული ოცნება“ ყველა შეხვედრაზე აცხადებს, რომ მისი კურსი დასავლურია, თუმცა ქმედებები საპირისპიროს ამტკიცებს. ჩვენი გუნდი და სხვადასხვა ოპოზიციური პარტია ყოველდღიურად ხვდება დასავლელ პარტნიორებს. ისინი საჯაროდ ამბობენ, რომ ამ პოლიტიკით საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღება გაუჭირდება. მოჰყავთ მაგალითები: სანქცირებული რუსული ავიაკომპანიები, რომლებიც საქართველოში დადიან, მათ შორის აფხაზეთში და ეს ჩვენი რეგიონი უწერიათ როგორც ცალკე ქვეყანა, გარდა ამისა, საგანგაშო იყო ლავროვის ოჯახის წევრების ქორწილი საქართველოში, კადიროველების ვიზიტი ქვეყანაში და ა. შ.

**- მმართველი პარტიის წევრები ოპოზიციის ზემოაღნიშნულ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებენ, თანაც დასძენენ, რომ ოპოზიცია არ არის დაინტერესებული, საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რას ფიქრობთ?**

- პირიქით, სწორედაც რომ დაინტერესებული ვართ. ის გუნდი, რომელშიც ვარ, უფრო კომპეტენტური, კრეატიული და კარგი სახეებითაა დაკომპლექტებული. ჩვენი გუნდის მიზანია, მოკლე ვადაში დასავლური ინტეგრაცია, პირველ რიგში, კანდიდატის სტატუსის მიღება, შემდეგ - წევრობა. თუ ამ მიზანს ბიძინა ივანიშვილი თავის გუნდთან ერთად მიაღწევს, მივესალმები. მიმაჩნია, რომ ვინც ამ ქვეყნის დასავლურ ინტეგრაციას, კანდიდატის სტატუსის მიღებას არ ეთანხმება, ქვეყნის მტერია! არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება - ხელისუფლების თუ ოპოზიციის წარმომადგენელი.

**- ამას წინათ პარლამენტმა მმართველი პარტიის ძალისხმევით მიიღო დეოლიგარქიზაციის კანონი მიუხედავად ვენეციის კომისიის უარყოფითი პოზიციისა, თქვენი აზრი ამის შესახებ...**

- მოსალოდნელი იყო მმართველი გუნდის მსგავსი ნაბიჯი. ევროკავშირის მხრიდან 12-პუნქტი რომ შედგა, ეს ერთ-ერთ ყველაზე რთულ პუნქტად მიიჩნიეს. ევროპარლამენტის ყველა დასკვნა თუ რეზოლუცია ხაზს უსვამდა, რომ კანონი შეეხებოდა ბიძინა ივანიშვილს, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ იგი რეპრესიულ კანონპროექტად გადააკეთა. ამის მაგალითია მედიამენეჯერებზე თავდასხმა, მათ შორის ჩვენი პარტიის ლიდერებზე. განაცხადეს, რომ ვისაც ფული აქვს და სურს პოლიტიკაში მოსვლა, მის ჩართულობას სწორედ ეს კანონპროექტი დაარეგულირებს, თუმცა ყველამ ვიცით, რომ საზოგადოებაზე ეკონომიკური, ფინანსური გავლენის მოხდენა ყველაზე მეტად ბიძინა ივანიშვილს შეუძლია და ეს კანონპროექტი არ იქნება საერთაშორისო ორგანიზაციებისგან აღიარებული მანამ, სანამ კონკრეტულად არ შეეხება არაფორმალურ მმართველს ანუ ივანიშვილს.

**- მმართველი პარტია აცხადებს, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში არ ერევა...**

- ხელისუფლება ბევრ რამეს ამბობს, კერძოდ, თურმე ქვეყანა ალორძინდა და ა. შ. ყველამ იცის, რომ ხელისუფლება ივანიშვილისგან არაფორმალურად იმართება.

**- დროდადრო ვხედავთ, რომ პრეზიდენტი ხელისუფლების წარმომადგენლებს აკრიტიკებს ანტიდასავლური რიტორიკის გამო, ეს რისი მანიშნებელია?**

- ზოგადად, მმართველი პარტია საკუთარ კადრებთანაც ვერ მეგობრობს. ჯერ ალმერთებდნენ ქალბატონ სალომეს, პლაკატებზე მის მაგივრად იყვნენ გამოფენილი... იგივე იყო გახარიას შემთხვევაში, ჯერ ყველაზე მაგარი მინისტრი იყო, ახლა ნარკომანად მოიხსენიებენ, ანუ მოქმედიც და ყოფილი მაღალჩინოსნები, ვინც აუგ სიტყვას მმართველ პარტიაზე იტყვის, მათთვის მტერია. საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი არის ერთადერთი ადამიანი ხელისუფლებიდან, ვინც დასავლეთში სწორ მესიჯებს აჟღერებს, თუმცა შიდა პოლიტიკურ დონეზე კონკრეტულ მექანიზმებს, რაც მას გააჩნია (თუნდაც იგივე ნიკა გვარამიას შეწყალებასთან დაკავშირებით), არ იყენებს. ეს ჩვენს მოქალაქეებს აფიქრებინებს, რომ საქართველოს პრეზიდენტს დროდადრო ივანიშვილი ალაპარაკებს. არადა, მნიშვნელოვანია, პრეზიდენტმა მის ხელთ არსებული ქმედითი მექანიზმები გამოიყენოს.

**- არც ოპოზიციაშია საქმე კარგად, თქვენმა ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას დიდი ოპოზიციური გაერთიანება „ნაციონალური მოძრაობის“ გარეშე...**

- „ნაციონალურ მოძრაობასთან“, მის ახალ მენეჯმენტთან ჩვენი პარტიის დამოკიდებულება ახალი არ არის. „ნაცმოძრაობის“ ახალი თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი ცოტა ხნის წინ კეზერაშვილს კრიმინალს უწოდებდა, ახლა სხვანაირად ფიქრობს. ასეთი ფერისცვალება ამომრჩეველს აბნევს. ჩვენ გვინდა, შევქმნათ ალტერნატიული პოლუსი, ალტერნატიული ცენტრი „ნაცმოძრაობის“ გარეშე. უდავოა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის პოლუსი, შესაბამისად, როცა ალტერნატიული პოლუსის შეთავაზება გვინდა საზოგადოებისთვის, პოლუსის პოლუსთან გაერთიანება სწორი არ იქნება. ჩვენი მიზანია, რომ პროდასავლურმა ოპოზიციურმა ლიდერებმა გადადგან ქმედითი ნაბიჯები, მათ შორის ცნობილ 12 პუნქტთან დაკავშირებით და 2024 წელს საარჩევნო უბნებზე ხმების დაცვა უზრუნველვყოთ. ვისაც ჩვენთან სურს თანამშრომლობა, ვეპატიჟებით ამ ბრძოლაში ეფექტური შედეგისთვის, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ ახალ მენეჯმენტთან თანამშრომლობას არ ვაპირებთ, რადგან წარმოუდგენელია სიახლეებზე გქონდეს პრეტენზია და ვანო მერაბიშვილთან და დავით კეზერაშვილთან იმეგობრო.

**- ურთიერთბრალდებები ოპოზიციაში არახალია, მაგალითად, ხატია დეკანოიძე „ნაცმოძრაობას“ მკაცრად აკრიტიკებს, თავის მხრივ ლევან ხაბეიშვილი აცხადებს, რომ რაც დეკანოიძე პარტიიდან წავიდა, „POST TV“-ის და „იმედის“ რიტორიკით ალაპარაკდა...**

- არა მგონია, რომ ხატია დეკანოიძე ის ადამიანი იყოს, რომელსაც მმართველ პარტიასთან გარიგებაში შეიძლება დასდო ბრალი. ადამიანებს, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკა არ მოსწონთ, რატომღაც მოღალატეებად თვლიან, არადა, როგორ შეიძლება მოგწონდეს ადამიანი, რომელზეც „ბიბისი“ აცხადებს, რომ პენსიონერებს ძარცვავს, ასევე როგორ შეიძლება მოგწონდეს ადამიანი, რომელსაც 7 ნოემბერი აწევს ზურგზე. არაფორმალური მმართველობის ჩანაცვლება ისევ არაფორმალური მმართველობით მიუღებელია, მთავარია საჯარო პოლიტიკის კეთება საჯაროდ.

**- ვხედავთ, რომ „ლელო საქართველოსთვის“ აქტიურობს, უქმად არც „სტრატეგია აღმაშენებელია“, თქვენ პარტიას როგორ წარმოუდგენია დიდი ოპოზიციური გაერთიანება?**

- ჩემი აზრით, კოალიციაზე საუბარი უმჯობესია არჩევნების შემდეგ, გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტული იდენტობა პარტიამ უნდა გამოკვეთოს, უნდა ვიცოდეთ, მემარჯვენეა, მემარცხენეა, თუ ცენტრისტულია, რა პოლიტიკას ატარებს საგარეო კურსის კუთხით. ვფიქრობ, არჩევნების შემდეგ პროდასავლური ოპოზიციის ლიდერები უნდა დასხდნენ, არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, უნდა გადაინაწილონ ხელისუფლება, უნდა თქვან, - ჩვენ, პირობითად, 100 დღეში გავაკეთებთ იმას, რომ ეს ქვეყანა მიიღებს კანდიდატის სტატუსს, გავაუმჯობესებთ სოციალურ საკითხებს და ა. შ. გარდა ამისა, პარტიებს უნდა გვქონდეს ერთგვარი მექანიზმი, რომ როცა კოალიციას შევქმნით და რომელიღაც პარტიის კონკრეტული ნაბიჯი არ მოგვეწონება, უნდა შეგვეძლოს ამ პარტიისთვის იმის თქმა, რომ მზად ვარ, კოალიცია დაგიშალო. მოკლედ, კოალიცია ნიშნავს ურთიერთშეთანხმებას სხვადასხვა საკითხზე, სწორედ ამ პრინციპით ვიმოქმედებთ ჩვენ.

**- როგორც ვიცით, საარჩევნო კანონმდებლობით კოალიციების შექმნა საარჩევნოდ აკრძალულია, ამ მხრივ ოპოზიციას რა სტრატეგია აქვს შემუშავებული?**

- ტექნიკური ამბები 2024 წლის არჩევნებთან დაკავშირებით ძალიან პრობლემურია, მათ შორისაა საარჩევნო ბარიერის საკითხი. იცით, რომ ორი მოსმენით ორპროცენტიანი ბარიერი გასულია პარლამენტში და შეიძლება, მესამე მოსმენითაც გავიდეს... შეიძლება მმართველ პარტიას დასჭირდეს ორპროცენტიანი ბარიერის დამტკიცება, რომ გაიყვანოს პარლამენტში სატელიტი პარტიები. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა მექანიზმი, მაგალითად, ან „ლელოს“ სიაში, უნდა შევიყვანოთ სხვადასხვა პარტიის ლიდერები და წევრები, ანდა ჩვენი ლიდერები ჩაეწერონ სხვა პარტიის სიაში, ერთადერთი ალტერნატივა არის ის, რომ „დაიძინოს“ ყველა პარტიამ და ახალი ერთობის მაგალითი შევქმნათ, კერძოდ, პირობითად, ყველა 39 საარჩევნო ნომრით გავალთ არჩევნებზე. სამომავლოდ, თუ ოპოზიციური პარტიების ერთობა გამოიკვეთება, ეს უნდა იყოს ახალი განაცხადი, ახალი სახელით, ახალი ცენტრით „ნაციონალური მოძრაობის“ გარეშე.

**- მომავალი არჩევნები ორპოლუსიანი თუ მრავალპოლუსიანი იქნება?**

- ჩვენ იმიტომ დავპატიჟეთ ოპოზიციური პარტიები, რომ ალტერნატიული პოლუსი გაჩნდეს ქვეყანაში, ორპოლუსიან ბრძოლაში მმართველ პარტიას გამარჯვების მეტი შანსი ექნება. ეს ყველა ეტაპზე დადასტურდა. ამის მაგალითია იმ ადამიანების წინა პლანზე გამოსვლა, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში ცუდ რაღაცებთან ასოცირდებიან. ვინც ზემოთ ვახსენეთ, ამ დაპირისპირების პოლუსს ზრდის. ჩვენ გვინდა, რომ ახალი ალტერნატიული ცენტრი ამ ადამიანებისგან გათავისუფლებული იყოს და ვიღაცამ არ გვითხრას, რომ მათთან ვართ აფილირებული.

*„ნაციონალურ მოძრაობასთან“, მის ახალ მენეჯმენტთან ჩვენი პარტიის დამოკიდებულება ახალი არ არის. „ნაცმოძრაობის“ ახალი თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი ცოტა ხნის წინ კეზერაშვილს კრიმინალს უწოდებდა, ახლა სხვანაირად ფიქრობს. ასეთი ფერისცვალება ამომრჩეველს აბნევს. ჩვენ გვინდა, შევქმნათ ალტერნატიული პოლუსი, ალტერნატიული ცენტრი „ნაცმოძრაობის“ გარეშე*

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

პეკინში ჩინეთისა და ამერიკის პირველი დიპლომატების - ენტონი ბლინკენისა და ცინ განის შეხვედრა შედგა, რომელზეც ორმხრივი ურთიერთობის, ტაივანისა და უკრაინის საკითხები განიხილეს. მთავარ პრობლემად განმა ტაივანის საკითხი დაასახელა და ვაშინგტონს კიდევ ერთხელ მოუწოდა, „ერთი ჩინეთის“ პრინციპს სცეს პატივი. ენტონი ბლინკენმა დიპლომატიისა და ღია დიალოგის აუცილებლობას გაუსვა ხაზი და ჩინელ კოლეგას განუცხადა, რომ შეერთებული შტატები საკუთარ ინტერესებს მომავალშიც დაიცავს. ბლინკენმა განი ოფიციალური ვიზიტით ვაშინგტონში მიიწვია.

* * *

მშვიდობა ყველას სურს, თუმცა ის სამართლიანობაზე უნდა იყოს დაფუძნებული, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. მისი თქმით, თავად კიევმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რა პირობებია მისაღები უკრაინისთვის ომის დასასრულებლად. „მშვიდობა არ შეიძლება ნიშნავდეს გაყინულ კონფლიქტს და რუსეთის მიერ ნაკარნახევი პირობების შესრულებას,“ - აღნიშნა სტოლტენბერგმა და დასძინა, რომ უკრაინის მომავალი ნატოშია, თუმცა ამჟამად ქვეყნისთვის მთავარი პრიორიტეტი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებაა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში წევრობაზე საუბარი შეუძლებელია.

* * *

შვედეთის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის ანგარიშის თანახმად, რუსეთმა, შესაძლოა, ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო თავდასხმა განახორციელოს. დოკუმენტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ რუსული სახმელეთო ჯარები უკრაინაში იმყოფებიან, შვედეთზე თავდასხმები არ არის გამორიცხული. „რუსეთმა კიდევ უფრო შეამცირა სამხედრო ძალის გამოყენების ბარიერი და ზრდის მიდრეკილებას პოლიტიკური და სამხედრო რისკების მიმართ. რუსეთის უნარი, შვედეთის წინააღმდეგ განახორციელოს ოპერაციები საჰაერო და საზღვაო ძალების, შორ მანძილზე მოქმედი ან ბირთვული იარაღის გამოყენებით, უცვლელი რჩება“, - ნათქვამია დოკუმენტში.

* * *

რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერი დიმიტრი პესკოვი აცხადებს, რომ უკრაინაში მიმდინარე ე.წ. „სპეცოპერაციის“ ერთ-ერთი მიზანი - უკრაინის დემილიტარიზაცია ძირითადად მიღწეულია. „ეს ამოცანა დიდწილად შესრულებულია. უკრაინა სულ უფრო ნაკლებ იარაღს იყენებს. სულ უფრო მეტად იყენებს იარაღის სისტემებს, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნები აწვდიან მას“, - განაცხადა პესკოვმა. ამასთან, მისი მტკიცებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, ვაშინგტონის ხელმძღვანელობით, სულ უფრო მეტად, პირდაპირ თუ ირიბად ერთვება კონფლიქტში, რის გამოც იგი ჭიანურდება.

* * *

ოდესაში ზღვაში ცურვა აიკრძალა. გადაწყვეტილება გარემოს დაცვისა და საგანგებო სიტუაციების კომისიის რიგგარეშე სხდომაზე მიიღეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებით, კახოვკის კაშხლის აფეთქების შედეგად დაბინძურებული წყალი ოლქის მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ოდესის რეგიონში გრძელდება რუსული ეკოციდის შედეგების აღრიცხვა. ექსპერტთა მტკიცებით, კატასტროფის შედეგად ზღვა ნაგავსაყრელად და ცხოველთა სასაფლაოდ იქცა.

მოამზადა ია უშვერიძემ

# გონიო-კვარიათში კაფე-ბარები დაანგრიეს

**მართა იბერიელი 27 48 93**

*გონიო-კვარიათის პლაჟზე ჯერ კიდევ ნახავთ დანგრეული კაფეებისა და ბუნგალოების ნარჩენებს. ზოგან დაწყებული აქვთ ახლის მოწყობაც*



მიუხედავად იმისა, რომ შენობები მუნიციპალიტეტის კუთვნილ ნაკვეთებზე უკანონოდ ჰქონდათ განთავსებული, მესაკუთრეები მაინც მიიჩნევენ, რომ მერია მათ უსამართლოდ მოექცა. ამის საილუსტრაციოდ მათ რამდენიმე არგუმენტი აქვთ. პირველი: „თამაშის წესები“, რაც ამ დრომდე იყო, მერიამ თავად დანერგა. არსებული პრაქტიკით, ადგილობრივები წლიდან წლამდე აუქციონის გამოცხადებას სწორედ იმ მოცემულობით ელოდნენ, რაც კონკრეტულ ტერიტორიაზე ჰქონდათ. „არსებული მოცემულობა“ ეხებოდა იმ შენობებს, რომლებსაც სეზონის დასრულების შემდეგ ადგილზე ტოვებდნენ.

ზაფხულის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე მერია არსებული მდგომარეობით აცხადებდა აუქციონებს, მეწარმეები მასში მონაწილეობდნენ და სამუშაოდ იმავე ადგილას ბრუნდებოდნენ, თავისი შეხედულებისამებრ აწესრიგებდნენ გარემოს სეზონური სამუშაოსთვის და იწყებდნენ მომხმარებლების მიღებას. გონიო-კვარიათში საპლაჟო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად მერიას ერთიანი სტანდარტი ამ დრომდე არ ჰქონია. ამის გამო ზღვის სეზონზე და მის შემდეგაც აქ ქაოსური სიტუაცია არცთუ სასურველ იერსახეს ქმნიდა.

პანდემიის დროს მერიამ ახალი აუქციონები არ გამოაცხადა და მოქმედ მოიჯარეებს ავტომატურად გაუგრძელა ხელშეკრულება ვირუსით გამოწვეული შეზღუდვების გამო მიღებული ზიანის ასანაზღაურებლად. მერიამ არაფერი მოიმოქმედა გასულ სეზონზეც, როცა მოიჯარეების დიდმა ნაწილმა აუქციონებში მონაწილეობა არ მიიღო - „ფასები ძვირიაო“, თუმცა საკუთარი ობიექტები არ დაუტოვებიათ და, როგორც წინა სეზონებზე, უპრობლემოდ მუშაობდნენ. გასული წლის სეზონის გასვლის შემდეგ აქ მერიამ ყველაფერი „ამოაყირავა“.

ერთი შეხედვით, თითქოს ლოგიკურად, ბოლოს და ბოლოს, გონიო-კვარიათის სანაპიროზე პლაჟი ბიზნესისთვის ერთიანი ვიზუალით უნდა მოაწყონ. ასეც დაჰპირდნენ მათ, ვინც საკუთარი შენობა თავადვე დაშალა და ტერიტორიაც გაასუფთავა.

მეორე არგუმენტი: ადგილობრივებმა ახლა უკვე დაზუსტებით იციან, რომ დეველოპერებისა და დიდი სასტუმროების ინტერესის დასაკმაყოფილებლად მერიამ სხვა მიდგომა გამოიყენა გავლენიანი ბიზნესისთვის, რომელსაც სანაპიროს გასწვრივ საკუთარი პლაჟიც სურს. არა მხოლოდ მათ, ვინც სასტუმროების მშენებლობა დაასრულა და უკვე მომხმარებელს იღებს, არამედ მათაც, ვინც ჯერ ისევ მშენებლობის პროცესშია, პლაჟი არა 4 თვით, არამედ გრძელვადიანი იჯარით სურთ. მერია კი ამას ხელს უწყობს.

„მერია გრძელვადიან ხელშეკრულებებს გაუფორმებს სასტუმროებს, ჩვენ კი ყოველ წელს ახალ აუქციონში უნდა მივიღოთ მონაწილეობა და 4-თვიან ხელშეკრულებას დავჯერდეთ“, - ამბობენ მეწარმეები.

მერიაში ამბობენ, რომ 2023 წლისთვის მოიჯარეებს ბულვარისთვის დადგენილ სტანდარტს შესთავაზებენ კაფეების მოსაწყობად, მიაწვდიან ესკიზებს, რომლებიც ბულვარის უკვე დამტკიცებულ გენგეგმაშია მოცემული, მოიჯარეებმა კი ინფრასტრუქტურა ამ ესკიზების მიხედვით უნდა მოაწყონ.

მესამე არგუმენტი: მერიამ განსხვავებულ მდგომარეობაში ჩააყენა მცირე მეწარმეები, როცა კონკრეტულ მესაკუთრეებს შენობები დაანგრევინა ან დაუნგრია, სხვებმა კი შეინარჩუნეს. ისინი უკვე მუშაობენ. გონიო-კვარიათში გამოცხადებული აუქციონების ნაწილი 16 ივნისს დასრულდა, ნაწილი კი 19 ივნისს უნდა დასრულებულიყო. ამის შემდეგ აუქციონში გამარჯვებულებმა მერიასთან ხელშეკრულებები უნდა გააფორმონ. საიჯარო ინფრასტრუქტურის გამართვას, მერიის მიერ მიწოდებული ესკიზების მიხედვით, ალბათ ათი დღე მაინც დასჭირდება. ამის პარალელურად, მერიამ ინდივიდუალური ბრძანებით გაასხვისა კონკრეტული მონაკვეთები პლაჟზე არა 4 თვით, არამედ ერთი წლით. ასეთ შემთხვევაში, მოიჯარეებმა კაფეები ზუსტად იმ ვიზუალით შეინარჩუნეს, რაც მანამდე ჰქონდათ, სხვებისთვის კი წელს მერიამ ისევ გამოაცხადა აუქციონები, რომლებიც 10-დან 400 კვ მეტრამდე ტერიტორიის გაცემას გონიო-კვარიათის პლაჟზე 4 თვით ითვალისწინებს. საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია მერიას ვიზუალის შექმნა წინასწარ განსაზღვრული ესკიზის მიხედვით, შესაბამისი ხარჯის გაღება მცირე მეწარმეების მიერ მხოლოდ 4 თვით, მაშინ როცა მაღალბიუჯეტიანი კომპანიები გრძელვადიან ხელშეკრულებებს ითხოვენ და პლაჟზე იმავე ვიზუალის შენობებით რჩებიან, რაც ამ დრომდე ჰქონდათ.

ერთ-ერთი კომპანია, რომელსაც ქონება გრძელვადიანი იჯარით მისცეს - შპს „ტმია“. ეს კომპანია კვარიათის სანაპიროზე სასტუმრო „პანორამა კვარიათს“ ფლობს. მენეჯერის ინფორმაციით, კაფეს სასტუმროს წინ ქვემოიჯარე მართავს. ამ ნაკვეთის საიჯარო წესით გასხვისებაზე ბრძანება ბათუმის მერმა 2022 წლის პირველ ივლისს გამოსცა. მერის ბრძანება ქონების ერთი წლის ვადით, 2023 წლის 15 ივლისის ჩათვლით იჯარით გაცემას ითვალისწინებდა, ქონების საწყისი წლიური საფასური 18 000 ლარი იყო, ბიჯი - 500 ლარი. გამარჯვებულმა აუქციონი ერთი ბიჯით მოიგო. აუქციონი 8 ივლისს შედგა.

სასტუმრო „პანორამა კვარიათის“ მიმდებარედ განსხვავებული პირობებით მიიღო მიწის ნაკვეთი პლაჟზე „პანორამა რეზიდენსმაც“. მიუხედავად იმისა, რომ შენობა ბათუმის მერიის საკუთრებაა, მის წინ არსებული ნაკვეთი პლაჟზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. შესაბამისად, ამ ნაკვეთის განკარგვაზე გადაწყვეტილებაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო.

„კვარიათი რეზიდენსმა“ სასტუმრო სანაპიროზე „პანორამა კვარიათის“ გვერდითააშენა. სასტუმრომ შენობის წინ მდებარე 200 კვ მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც მანამდე აუქციონის წესით ჰქონდა, ასევე, გრძელვადიანი იჯარით მიღებული, 2021 წელს პირდაპირი წესით, 5 წლის ვადით მიიღო. გადარჩა სასტუმრო „ნეპტუნის“ წინ მდებარე კაფეც, ამ კაფესაც „ნეპტუნი“ ჰქვია. სასტუმროს მენეჯერი ამბობს, რომ კომპანიას პლაჟზე გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება აქვს. ზოგიერთი მესაკუთრე მერიის მოქმედებას გონიო-კვარიათის პლაჟზე სასამართლოში ასაჩივრებს და აცხადებს, რომ მერიამ კანონი დაარღვია, როცა მათი ქონება ისე დაშალა, რომ მომავალში კონსტრუქციებისა და შესაფუთი მასალების გამოყენების შესაძლებლობა წაართვა, მათი ქონება დაამტვრია.

წელს მერიამ ქონება აუქციონზე კონკრეტული საკადასტრო კოდებით არ გაიტანა, ფართობები გააერთიანა და აუქციონში მიუთითა ფორმულირება, რომელიც კონკრეტული მისამართიდან მცირე ზომის ნაკვეთების გასხვისებას ითვალისწინებს.

# რეზო ხარაზი: ბათუმის მერია დახურული ორგანოა

**დარინა ბაბაიძე 514 22 22 80**



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა რეზო ხარაზმა გუშინ ბრიფინგი გამართა. როგორც მან განაცხადა, ბათუმის მერია საკრებულოს წევრებს საჯარო ინფორმაციას არ აწვდის, რაც კორუფციულ ეჭვებს ბადებს. რეზო ხარაზი სახალხო დამცველსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს.

„ბათუმის მერია დახურული ორგანოა. საკრებულოს წევრთან ანგარიშვალდებული არიან - ბათუმის მერიამ 10 დღის ვადაში საჯარო ინფორმაცია უნდა მოგვაწოდოს, თუმცა ისინი მალავენ. აქ მოვიტანეთ კონკრეტული საჯარო ინფორმაციები, რომლებზეც დოკუმენტებს ვითხოვთ, ეს ეხება: გაცემულ სამშენებლო ნებართვებს, რკინა-ბეტონის საფარით ქუჩების მიმდინარე სამუშაოებს, სანიაღვრე ქსელის მოვლა-ექსპლუატაციის საკითხს, სადაც პრობლემებია, ტურისტულ ინფრასტრუქტურასა და ველობილიკებს, ასევე, მერიის ბალანსზე რა სატრანსპორტო საშუალებები არსებობს, როგორ მოხდა მათი შეძენა, რაზეც პასუხები არ მიგვიღია. საპარკინგე სივრცეების მოწყობასთან დაკავშირებით კონკრეტული წერილით მივმართეთ, რაზეც პასუხი არ მიმიღია. მივმართავ სასამართლოს, სახალხო დამცველს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, დაიწყონ მუშაობა, რათა ბათუმის მერია ღია ორგანიზაციად იქცეს. რატომ არ გვაძლევს წერილებზე პასუხებს? ესე იგი არ აქვთ პასუხი, თუ აქვთ პასუხი, კორუფციული სქემებია და გასაჯაროების ეშინიათ“, - განაცხადა რეზო ხარაზმა.

# „სამართლიანი მშვიდობა კონფლიქტის გაყინვას არ ნიშნავს“

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბერლინში ოლაფ შოლცთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ უკრაინას აქვს უფლება, გაათავისუფლოს საკუთარი მიწები და ახლა კონტრშეტევა მიმდინარეობს. რაც უფრო მეტი ტერიტორიის გათავისუფლებას შეძლებენ უკრაინელები, მით უფრო ძლიერი იქნება ის მოლაპარაკების მაგიდასთან.

ამასთან, სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა, რომ სამართლიანი მშვიდობა კონფლიქტის გაყინვას არ ნიშნავს.

„ჩვენ ყველას გვინდა, რომ ეს ომი დასრულდეს, მაგრამ სამართლიანი მშვიდობა არ ნიშნავს კონფლიქტის გაყინვას და რუსეთის მიერ ნაკარნახევი შეთანხმების მიღებას“, - აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

ის მიესალმა გერმანიის მიერ უკრაინისთვის გაწეულ ფინანსურ, სამხედრო და ჰუმანიტარულ დახმარებას და ხაზი გაუსვა, რომ ბოლო დროს მიღებული გადაწყვეტილება უკრაინაში დამატებით 64 ერთეული Patriot-ის საზენიტო-სარაკეტო სისტემის გაგზავნა ადამიანების სიცოცხლის გადარჩენას შეუწყობს ხელს.

* * *

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა დასავლეთის დემოკრატიების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამი პრიორიტეტი დაასახელა. მისი აზრით, ამ პრიორიტეტებიდან პირველი რუსული აგრესიის წინააღმდეგ უკრაინისთვის დახმარების გაგრძელებაა.

„ამჟამად ჩვენ უსაფრთხოების კრიტიკულ მომენტს განვიცდით. დიდ მსოფლიო ძალებს შორის კონკურენცია იზრდება. პუტინმა დააბრუნა ომი ევროპაში. ცივი ომის შემდეგ რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობების იმედი გვქონდა. თანდათან რუსეთის პრეზიდენტის ქცევაში აგრესიული ტენდენციის შედეგად ეს იმედები გაქრა“, - განაცხადა ნატოს ხელმძღვანელმა.

სტოლტენბერგის თქმით, აღნიშნული ტენდენცია ჯერ საქართველოში რუსეთის ჯარის შეჭრის დროს გამოვლინდა, შემდეგ კი რუსული არმიის ქმედებებში სირიაში (ალეპოში), ყირიმსა და დონბასზე.

„უკრაინაში ფართომასშტაბიანმა შეჭრამ საბოლოოდ წაშალა ნებისმიერი ილუზია რუსეთთან კონსტრუქციულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით“, - განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

**ამირან გურიელიძე**

# საერთოევროპული სტრატეგია...

1-ლი ივლისიდან ნიდერლანდელები სახლიდან შეკვეთილ საკვებ-სასმელზე... ჭურჭლის ფულსაც გადაიხდიან. საქმე ისაა, რომ ნიდერლანდებმა წასაღები საკვებისა და სასმელის პლასტმასის შეფუთვაზე დამატებითი გადასახადი შემოიღო, რათა ქვეყანაში პლასტიკური ნარჩენების რაოდენობა შემცირდეს.

მოქალაქეებს დამატებითი საფასური დაერიცხებათ, თუკი მყიდველი საკვებს სახლიდან ან წასაღებად შეუკვეთავს. პლასტმასის ჭიქა 25 ევროცენტი, ხოლო თეფში ან სხვა დიდი ჭურჭელი 50 ევროცენტი ეღირება. პლასტმასზე დახარჯული თანხა ჩეკში ცალკე ხაზზე მიეთითება.

აღსანიშნავია, რომ 1-ლი ივნისიდან ესტონეთის დედაქალაქ ტალინში არცერთ საჯარო ღონისძიებაზე კერძები ერთჯერადი ჭურჭლით აღარ იყიდება, ხოლო მომავალი წლის 1-ლი იანვრიდან ეს წესი მთელ ქვეყანაში გავრცელდება. მოქალაქეებს კერძებს, საჭირო ჭურჭლით, სპეციალური მრავალჯერადი კონტეინერებით მიაწვდიან, რომლის ღირებულებაც ჩეკში შევა, თუმცა შემგროვებელ პუნქტში კონტეინერის ჩაბარებით მყიდველი ამ თანხის სრულად ანაზღაურებას შეძლებს.

***ცნობისთვის:*** *2020 წლიდან ევროკავშირი, ინიციატივა European Green Deal-ის ფარგლებში, ციკლური ეკონომიკის შექმნას ესწრაფვის. ეს ზომები პლასტმასის წინააღმდეგ ბრძოლის საერთოევროპ-*



*ული სტრატეგიის ნაწილია. კერძოდ, 2030 წლისთვის ევროკავშირში პლასტმასის ნახევარზე მეტი გადამუშავდება, ხოლო მთელი შესაფუთი პლასტმასი ადვილად გადამუშავებადი ან ხელახლა გამოყენებადი იქნება.*

**ამირან გურიელიძე**

აჭარა 102
№64 (25.088) სამშაბათი, 20-21.06.2023



# „ვიბრძოლებ, სანამ სასურველს არ მივაღწევ“

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

*ზაზა თევთიძე მუსიკალური პროდიუსერია. ეს საქმიანობა 2013 წელს დაიწყო. რეპის მიმართულებით მის ნამუშევრებს „შავი ზედა“, „ჩემი ქალაქი“ და ა.შ. სოციალურ ქსელში მილიონობით ნახვა აქვს. ის დღეს ჩვენი სტუმარია*

**- დაბადების თარიღი, ადგილი...**

- 1998 წლის 4 ივლისი, ბათუმი.

**- ჰობი...**

- როიალზე დაკვრა, მეგობრებთან ერთად თავგადასავლების ძიება და ზოგჯერ, ღამით ქალაქის ქუჩებში მარტო სეირნობა.

**- საქართველოში რომ არ დავბადებულიყავი...**

- დავიბადებოდი ამერიკაში.

**- ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია...**

- ოჯახი და მეგობრები.

**- დილა იწყება...**

- მიმებით.

**- ბავშვობიდან ყველაზე მძაფრად მახსენდება...**

- დილით ადრე ადგომა ყოველდღე, 12 წლის განმავლობაში.

**- საყვარელი მუსიკალური მიმდინარეობა და შემსრულებელი...**

- საყვარელი მიმდინარეობა არ მაქვს, ყველაფერს ვუსმენ. საყვარელი შემსრულებელი - ქანიე უესთი, „უიქენდი“, „დრეიქი“, „დაფტ პანკი“ და კიდევ რამდენიმე.

**- დაუვიწყარი მოგზაურობა...**

- იტალია.

**- საყვარელი სამოსი...**

- ჰუდები.

**- ბავშვობაში მეგონა...**

- თოვლის ბაბუა მართლა არსებობდა.

**- როცა თავისუფალი დრო მაქვს...**

- სხვადასხვა რაღაცას ვაკეთებ, მაგრამ ყველაზე ხშირად, მეგობრებს ვურეკავ.

**- ყველაზე გემრიელად ვამზადებ...**

- ერბოკვერცხს.

**- საყვარელი ადგილი...**



- სადაც სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ ადამიანებისგან.

**- სიტყვა, რომელსაც ხშირად ვიყენებ...**

- „ბიჯო“.

**- ყველაზე კარგი რჩევა, რომელიც მოუციათ...**

- თუ დანებდები, უკეთესად არ იქნები.

**- ცნობილი ადამიანები, რომლებსაც პირადად ვიცნობ...**

- ბევრს ვიცნობ, მათ შორის, დიპლოს, ბევრი უცხოური ჰიტის პროდიუსერია, - ახლა „მეილით“ გვაქვს კონტაქტი.

**- ბოლოს წავიკითხე...**

- „ბიპოლარული აშლილობის სიმპტომი“.

**- ფილმი, რომელიც ბოლოს ვნახე...**

- „რომანი გაქცევისა“, სისულელეა, მაგრამ მეგობართან ერთად ვიხალისე.

**- ჭორი საკუთარ თავზე...**

- არ მახსენდება. საერთოდ, არ ვაქცევ ყურადღებას.

**- საოცნებო ქალაქი...**

- ლოს-ანჯელესი.

**- არასოდეს...**

- თქვა არასოდეს.

**- მიყვარს...**

- საპირისპირო სქესის ადამიანებთან ყოფნა. არ ვიცი, რატომ.

**- მძულს...**

- ლოდინი.

**- მეშინია...**

- ადამიანების დაკარგვის.

**- ვოცნებობ...**

- არ ვოცნებობ.

**- ვტირი...**

- როცა სხვა გზა არაა.

**- ვიბრძოლებ...**

- სანამ სასურველს არ მივაღწევ.

**- ჩემი თვისებებიდან ვმალავ...**

- არ გეტყვი, ვმალავ.

**- ყველაზე დიდი წარმატება...**

- ჩემი საყვარელი საქმიანობით ვცხოვრობ და არ მჭირდება სხვა სამსახური.

**- უნარი, რომელსაც მინდა ვფლობდე...**

- ვხვდებოდე, ვინ არის ნამდვილი და ვინ არა.

**- სიამოვნებას ვიღებ...**

- სხვისი გაბედნიერებით.

**- ვამაყობ...**

- ახლობელი ადამიანებით, რომლებიც არიან მიზანდასახულები.

**- ვიტყუები, როცა...**

- სიმართლე ვინმეს გულს ატკენს.

**- ვგეგმავ...**

- იშვიათად. უცებ მიღებული გადაწყვეტილებებით უფრო ვიღებ სიამოვნებას.

**- საკუთარ თავში მომწონს...**

- მიზანდასახულობა.

**- არ მომწონს...**

- სიზარმაცე და ხასიათის ხშირი ცვლა.

**- სხვებში ყველაზე მეტად ვაფასებ...**

- ერთგულებას.

**- ყველაზე მეტად მაღიზიანებს...**

- ყველაფერი ნეგატიური.

**- სიამოვნებით დავისვენებდი...**

- ტიბეტში.

**- არასოდეს გავაკეთებ...**

- რაც სხვას ზიანს მიაყენებს.

**- საკუთარ თავში შევცვლიდი...**

- იშვიათად ვაპატიებდი.

**- ყველაზე ბედნიერი ვარ, როცა...**

- ჩემ ირგვლივ ადამიანები ბედნიერები არიან.

**- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...**

- ტელეფონი.

**- ვერასოდეს ვაპატიებ...**

- ყველაფერს ვაპატიებ, თუ გაიაზრა.

**- ვნანობ...**

- ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, ვინც არ იცის დაფასება.

**- მჯერა...**

- მომავლის.

**- ვწუხვარ...**

- ამ წუთს ისეთ რამეზე ვწუხვარ, ვერ ვიტყვი.

**- თავისუფლება ჩემთვის ნიშნავს...**

- მთელ ჩემს ცხოვრებას.

**- სკოლაში საყვარელი საგანი იყო...**

- ინგლისური.

**- ყველაზე ცუდად ვსწავლობდი...**

- რუსულს.

**- ადამიანს ვუთმობ...**

- როცა ძალიან უნდა.

**- უხამს ადამიანებს ვპასუხობ...**

- არ ვპასუხობ.

**- ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც მიმიღია...**

- სიყვარული.

**- ყველაზე გამაღიზიანებელი შეკითხვა ადამიანებისგან...**

- უფასოდ დაუკრავ?

**- ახლა ყველაზე მეტად მინდა...**

- ჩახუტება.

**- ფაქტი ჩემ შესახებ, რომელიც არავინ იცის...**

- არავინ იცის, ვერც ვერავინ გაიგებს.

# „ცხოვრება გაიძულებს, დაიცვა წესები“...

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

*თამარ ნიკურაძე-აროშიძეს ბათუმელები კარგად იცნობენ. ის ერთ-ერთი გამორჩეული ლექტორი და საინტერესო მწერალია, რომელმაც ლიტერატურულ სარბიელზე უკვე მიიპყრო ყურადღება. მისი რომანი „ციგრიტი“ ინგლისურად ითარგმნა, რაც მრავლისმთქმელია, იგი თავისი შრომისმოყვარეობით ადამიანებს მაგალითს აძლევს და მკაფიოდ უჩვენებს, თუ რა შეუძლია მოტივირებულ პიროვნებას. დღეს ის ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს*

**- როგორ დაიწყებდით ავტობიოგრაფიას?**

- იყო და არა იყო რა...

**- ფრაზა, რომელიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია...**

- ყველაფერი კარგად იქნება.

**- ათი წლის წინანდელ საკუთარ თავს ვურჩევდი...**

- არ განმეკითხა ადამიანები.

**- ნაწარმოები, რომლის ავტორიც იქნებოდით...**

- რისიც ვარ, ისიც მეყოფა.

**- წიგნს ჩემი ცხოვრების შესახებ დავარქმევდი...**

- ჩემოსოფია.

**- ჩემი ფიქრები რომ დავწერო...**

- არ მეყოფა მსოფლიოს ხე-ტყე.

**- მოქანდაკე რომ ვიყო, გამოვაქანდაკებდი...**

- სამყაროს სიყვარულის სიმბოლოს და მთვარეზე ჩამოვკიდებდი, ყველას რომ დაენახა.

**- სულიდან მღელვარების განსადევნად აუცილებელია...**

- მადლიერების გამოხატვა შემოქმედის მიმართ.

**- ყველაზე საუკეთესო რჩევა, რაც კი მოუციათ...**

- რწმენა არასოდეს დაკარგო.

**- ახალგაზრდას, რომელიც მარტოსულად გრძნობს თავს, ვეტყოდი...**

- ზოგჯერ მეც ვგრძნობ იმავეს, ეს აუცილებელია.

**- სამშობლო ჩემთვის არის...**

- ადგილი, სადაც თავს საკუთარ სახლში ვგრძნობ.

**- გამორჩეული ბრძნული ფრაზა...**



- ცხოვრება მშვენიერია.

**- ცხოვრება გაიძულებს...**

- დაიცვა წესები მის სათამაშოდ.

**- როგორ ბათუმში ისურვებდით ცხოვრებას?**

- სადაც ყველას ერთმანეთი უყვარს და პატივს სცემს.

## უკრაინა

„რუსეთის საზარელი შეტევები უკრაინის წინააღმდეგ არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ბარბაროსული შეჭრით, ის იმ კიბერინფრასტრუქტურაზე შეტევის მცდელობასაც შეიცავს, რომელიც უკრაინელ მოსახლეობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მომსახურებას აწვდის - საბანკო მომსახურებიდან დაწყებული, ენერგეტიკულით დამთავრებული“, - განაცხადა რიში სუნაკმა. დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის კიბერშეტევების შეწყვეტისა და უკრაინის კიბერუსაფრთხოების განმტკიცებისთვის ამ ფინანსური დახმარების პაკეტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასევე დიდი ბრიტანეთი დამატებით 60 მლნ გირვანქა სტერლინგს ($77 მლნ) ნატოს უკრაინის მხარდაჭერის ფონდში შეიტანს.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება კრემლის პრესსპიკერ დიმიტრი პესკოვის მიერ უკრაინის დემილიტარიზაციის შესახებ გაკეთებულ განცხადებას პასუხობს და აცხადებს, რომ შემდეგ ეპიზოდებს ელოდება. „შემდეგ ეპიზოდებში: „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ ყველა მიზანი მიღწეულია. უკრაინა, როგორც ევროკავშირისა და ნატოს წევრი, ვერ შეძლებს რუსეთზე თავდასხმას. ყირიმი აღარ იქნება ტვირთი რუსეთის ბიუჯეტისთვის, რომ ნაცისტები მხოლოდ რუსეთში არიან დარჩენილი. უკრაინაში რუსი სამხედრო პერსონალისა და ტექნიკის დანაკარგები, რომლის მოცულობა საიდუმლოდ უნდა დარჩეს, რუსეთს დაეხმარა გაერკვია, როგორ არასწორად მოიქცა და საბოლოოდ გააძლიერებს. რუსეთი ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს“, - აცხადებს კულება. კულებას თქმით, თანამედროვე რუსეთის გარეშე ცხოვრება შესაძლებელია. ამასთან, მისივე განმარტებით, უკრაინა მართალია, როდესაც პარტნიორებს ეუბნება, რომ ვლადიმერ პუტინი შეძლებს, რუსებს ყირიმის და მთელი უკრაინის დაკარგვა აუხსნას.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსეთს ახლა უნდა აღელვებდეს, როგორ მოამზადოს თავისი საზოგადოება უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების დაკარგვისთვის. „რაც შეეხება ტერორისტულ სახელმწიფოს, ერთადერთი, რაც მათ ახლა უნდა აწუხებდეს, არის ის, თუ როგორ მოამზადონ თავიანთი საზოგადოება, რუსული საზოგადოება იმისთვის, რომ დაკარგავენ ყველაფერს, რისთვისაც ანგრევენ თავიანთი სახელმწიფოს მომავალს. რუსეთი დაკარგავს ოკუპირებულ ტერიტორიებს. ჩვენს ნაბიჯებს დეოკუპაციისკენ ალტერნატივა არ აქვს და არ ექნება. ჩვენი სამხედროები მოძრაობენ: პოზიცია-პოზიცია, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ წინ“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

რუსული კერძო სამხედრო დაჯგუფება „ვაგნერის“ ხელმძღვანელ ევგენი პრიგოჟინის განცხადებით, 32 000 ბოევიკი, რომლებიც წარსულში მსჯავრდებული პირები არიან და უკრაინაში იბრძოდნენ, სახლში დაბრუნდა. მისივე თქმით, ამ ყოფილმა მსჯავრდებულებმა, რომლებმაც კონტრაქტი დაასრულეს, 83 დანაშაული ჩაიდინეს, რაც, დაახლოებით 80-ჯერ ნაკლებია თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან იმავე ვადით, „ვაგნერთან“ ხელშეკრულების გაფორმების გარეშე გათავისუფლებულ პირებთან შედარებით.

* * *

რუსეთის ფედერაციის ბელგოროდის ოლქის გუბერნატორ ვიაჩესლავ გლადკოვის განცხადებით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ვალუისკის ურბანული რაიონი დაბომბეს, რის შედეგადაც 7 ადამიანი დაშავდა. მისი თქმით, დაზიანებულია ხუთი კორპუსი და ოთხი კერძო სახლი. ერთ-ერთი ოჯახის დამხმარე შენობა იწვის. ადგილზე ოპერატიული სამსახურების წარმომადგენლები იმყოფებიან და მიმდინარეობს დაზიანების მონაცემების დაზუსტება.

* * *

უკრაინელმა დამცველებმა, ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ბერდიანსკისა და მელიტოპოლის მიმართულებით ოკუპაციისგან 8 დასახლება გაათავისუფლეს, - ამის შესახებ თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარი „ტელეგრამ“ არხზე წერს. „ბერდიანსკისა და მელიტოპოლის მიმართულებით ორი კვირის განმავლობაში შეტევითი ოპერაციების დროს, ჯარების გაერთიანებულმა სტრატეგიულმა დაჯგუფება „ტავრიას“ ნაწილებმა გაათავისუფლეს 8 დასახლება: ნოვოდაროვკა, ლევადნოე, სტოროჟევოე, მაკაროვკა, ბლაგოდატნოე, ლობკოვოე, ნესკუჩნოე, პიატიხატკი. სამხრეთით გათავისუფლებული ტერიტორია 113 კვადრატული კილომეტრს შეადგენს“, - განაცხადა მალიარმა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ტელეფონით ბრიტანეთის პრემიერმინისტრ რიში სუნაკთან ისაუბრა. ზელენსკის თქმით, მან სუნაკთან განიხილა საომარი მოქმედებების მიმდინარეობა, უკრაინის თავდაცვის საჭიროებები და ბრძოლის ველზე უკრაინის შესაძლებლობების გასაფართოებლად შემდგომი თანამშრომლობა, განსაკუთრებით შორი დისტანციის იარაღის საშუალებით. „მადლობა რიში სუნაკს 21-22 ივნისს ლონდონში უკრაინის აღდგენის კონფერენციის ორგანიზებისთვის და დიდი ბრიტანეთის ლიდერობისთვის უკრაინის საერთაშორისო მხარდაჭერის კონსოლიდაციის საქმეში“, - წერს უკრაინის პრეზიდენტი. ლიდერებმა ნატოს ვილნიუსის სამიტის წინ პოზიციები შეაჯერეს. „მნიშვნელოვანია უკრაინისთვის გაწევრიანების კონკრეტული პერსპექტივის მიცემა. ჩვენ ასევე განვიხილეთ სამშვიდობო ფორმულის განხორციელების ნაბიჯები და უკრაინის უსაფრთხოების გარანტიების მომზადება. რუსეთი ზრდის დასავლური კომპონენტებისგან რაკეტების წარმოებას. საუბრისას აქცენტი გავაკეთე სანქციების გამკაცრების აუცილებლობაზე“, - განაცხადა ზელენსკიმ.

**მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ**

# «იქ ვდგავარ, სადაც ერისა და ქვეყნის მომავალი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული»

***ზაფხულის ცხელ დღეებში, მოზღვავებული უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორების ფონზე, სამუშაოები მოეძალათ კომუნალურ სამსახურებს. სტრუქტურის სახეცვლილებაზე, შესასრულებელ სამუშაოებზე გვესაუბრება «შუახევის მუნიციპალიტეტის სერვისების სააგენტოს» დირექტორი ზაზა დავითაძე***



- დაბა შუახევის ცენტრის კეთილმოსაწყობად ცენტრალური და რეგიონული ბიუჯეტიდან იმედენი თანხა არასდროს ყოფილა მობილიზებული, რაც ამ ბოლო ხუთ წელიწადში. ეს თანხა მეტწილად მშენებლობებზე, ქუჩების, სკვერების კეთილმოწყობაზე, წყალმომარაგების გაუმჯობესებაზე, საკანალიზაციო ქსელის განახლებაზე, სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებაზეა მიმართული. მასშტაბურ სამუშაოებში აქტიურად არიან ჩართულნი დასუფთავების მიმართულებით დასაქმებულები.

**- დაბაში უკვე ხარაჩოებს იხსნის მართლმადიდებლური ტაძარი, ახალ სიცოცხლეს იბრუნებს თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა...**

- კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ყველა შუახეველის ოცნება იყო, რომ ცალკე ადმინისტრაციული ერთეული - რაიონი ჰქონოდათ. მაშინ სამლოცველოს მშენებლობაზე ფიქრიც კი დანაშაულად ითვლებოდა. უფლის ნებით, კუთხე, მოსახლეობა ცეცხლითა და მახვილით წართმეულ მრწამსს უბრუნდება. ეს უნიკალური შენობაც ამის დასტური იქნება. ეკლესიის მშენებლობა თითქმის 7 წელია მიმდინარეობს. სანდასუფთავების განყოფილებაში დასაქმებულებს ერთხელაც არ დაუწუწუნიათ, ისე ასუფთავებენ სამშენებლო ნარჩენებისგან ტერიტორიას. მასშტაბური რემონტი უტარდება ადმინისტრაციულ შენობასაც. მარტო ტერიტორიების დასუფთავებით არ შემოვიფარგლეთ, იქ ყვავილები დავრგეთ, სხვა სამუშაოებიც შევასრულეთ. ჩვენც სათქმელი გვექნება, რომ კულტურის ცენტრის, მერიის ადმინისტრაციული შენობების რემონტს, ეკლესიის მშენებლობას ხელი წავაშველეთ.

**- შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამასწინანდელ სხდომაზე თქვენდამი დაქვემდებარებულ ა(ა)იპ-ს სახელწოდება შეეცვალა და სტრუქტურაც ახლებურად ჩამოყალიბდა.**

- ეს სტრუქტურული ცვლილება ცალკეულმა გარემოებამ განაპირობა. 15 წლის წინ, როცა ადრინდელი კომუნალური სამსახურის ბაზაზე ა(ა)იპ «შუახევის კომუნალური სამსახური» ყალიბდებოდა, სამუშაოთა არეალი, დასაქმებულთა რაოდენობა იმის მესამედიც არ იყო, რაც დღესაა. მაშინ მუნიციპალიტეტში მთა ღომადან გამოყვანილი წყალსადენი იყო. ახლა დაბას ორი წყალსადენი ემსახურება. ასევე, წყალსადენები გაკეთდა ახალდაბის, ხიჭაურის დასახლების, ნიგაზეული-ჩანჩხალოს, ფურტიო-ბუთურაული-ნენიის მოსახლეობისთვის, მშენებლობის პროცესშია გორა-პაპოშვილების წყალსადენი. 14 სოფელსა და დაბა შუახევში წყალმომარაგების გაუმჯობესებას მოემსახურება გერმანიის მთავრობის მიერ მობილიზებული თანხით იმ წყალსადენის მშენებლობა, რომელსაც შპს «აჭარისწყლის» ალიანსი იწყებს. სააგენტოში ახლად შექმნილი განყოფილების ხელმძღვანელი და დასაქმებულები მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი გრაფიკით მომარაგებას უზრუნველყოფენ. წყალსადენის გაკეთება ერთია, მაგრამ მისი ექსპლუატაცია კიდევ უფრო მეტ სამუშაოს ითხოვს. სამაგალითოდ, ფურტიო-ბუთურაული-ნენიის წყალსადენი გამოდგება. ჩვენი ჩარევით, სათავე ნაგებობა თითქმის ხელახლა გაკეთდა, სისტემას გამართულად რომ ემუშავა. ანალოგიურ ძალისხმევას საჭიროებს დაბა შუახევის წყალსადენი, რომელიც სოფელ დღვანის ტერიტორიიდანაა გამოყვანილი. წყალმომარაგების გარდა, 1 ივლისიდან გვექნება სანდასუფთავების, კომუნალური და გარე განათების განყოფილებები. სააგენტოში დასაქმებულთა რაოდენობა 80 ადამიანს მიუახლოვდება.

**- «სოფლის მხარდაჭერის პროგრამით» მობილიზებული თანხებით მოსახლეობის უმრავლესობა გარე განათების სისტემების გაკეთებას ითხოვს.**

- 15 წლის წინ დაბა შუახევში გარე განათების მოწესრიგება დაიწყეს. 2013 წლიდან მოყოლებული, გარე განათება კეთდება 48 სოფელსა და 20 დასახლებულ უბანში. ამ სიკეთით უკვე ჩირუხის, მთა ღომას, თაგინაურის, გრძელგორის, ჯინალის მემთეურებიც სარგებლობენ. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს მეკომურთა კრებებზე გამოთქმული შენიშვნები და წელს ყველგან დასრულდება მისი მოწყობა. ახლა გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვას 10 ადამიანი ემსახურება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება, გაუმჯობესდება ტექნიკური უზრუნველყოფა. იტყვიან: სადაც სინათლეა, იქ სიცოცხლეაო. ვფიქრობ, ჩვენი საქმიანობა დაცარიელების საშიშროების წინაშე მდგომ სოფლებსა და დასახლებულ უბნებს სასიკეთოდ წაადგება.

> ***„15 წლის წინ დაბა შუახევში გარე განათების მოწესრიგება დაიწყეს. 2013 წლიდან მოყოლებული, გარე განათება კეთდება 48 სოფელსა და 20 დასახლებულ უბანში. ამ სიკეთით უკვე ჩირუხის, მთა ღომას, თაგინაურის, გრძელგორის, ჯინალის მემთეურებიც სარგებლობენ. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს მეკომურთა კრებებზე გამოთქმული შენიშვნები და წელს ყველგან დასრულდება მისი მოწყობა. ახლა გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვას 10 ადამიანი ემსახურება***

**- სანდასუფთავების განყოფილების მუშაობაზეც გვითხარით...**

- მთა ღომა დაბა შუახევთან ყველაზე ახლოს მდებარე ტერიტორიაა. ამ მთას ტურისტული დატვირთვა აქვს. უცხოელი თუ ადგილობრივი ვიზიტიორი უმალვე შეამჩნევდა ნაგვით დაბინძურებულ მდელოსა და ტყეს, რომელიც დასასვენებელ სახლებსა და კოტეჯებს ირგვლივ აკრავს. მთაში სანაგვე ურნების დადგმის შემდეგ, ტერიტორია აღარ ბინძურდება. მთა ღომას მსგავსად, ურნები დავდგით თაგინაურზე, ჩირუხში, ჯინალში. მუნიციპალიტეტის მერია გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე კიდევ რამდენიმე ერთეული ურნის გადმოცემას გვპირდება. პრობლემა იყო ნაგვის გატანა. იაპონიის საელჩომ თანადაფინანსებით ერთი ნაგავმზიდი შეგვიძინა, კიდევ ერთის შეძენას აპირებს. ეს დანაგვიანებას მნიშვნელოვნად შეამცირებს.

**- ნაგავი მდინარეების ნაპირებზე იყო დაყრილი...**

- ჩირუხისწყალი, ჭვანისწყალი, აჭარისწყლის 20-კილომეტრიანი მონაკვეთი შუახევის ტერიტორიაზე მოედინება. მოსახლეობა ნაგავს მათ ნაპირებზე ყრიდა. რამდენიმე აქცია მოვაწყვეთ გზისპირებისა და მდინარისპირების ნაგვის და ეკალ-ბარდებისგან გასაწმენდად. ახლა ტერიტორიები დასუფთავებულია.

**- დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურება დაბალია. ხელფასების გაზრდისთვის რას აკეთებთ?**

- ამჟამად სააგენტოში დასაქმებულთა ხელფასი გაორმაგებულია 2012 წლის მონაცემებთან შედარებით, თუმცა მათი შრომა, მეტს იმსახურებს. მთაში წყალმოვარდნები, მეწყრული პროცესები ხშირია, რაც წყალსადენების სათავე ნაგებობებს, ტრასის ნაწილს, ზოგჯერ მთლიან წყალსადენს აზიანებს. წელს ერთი კვირა შევალიეთ დაბა შუახევის წყალსადენის დაზიანებული მონაკვეთებისა და სათავე ნაგებობების აღდგენას. მუშებს არც სამუშაო გრაფიკი ჰქონიათ და არც სამუშაო საათები განსაზღვრული. ასეთ შემთხვევაში, სააგენტოს ხელმძღვანელობას საერთო ყულაბაში თანხა უნდა ჰქონდეს მათი მატერიალური წახალისებისთვის. ვხედავთ იმ ჯაფას, რაც კომუნალური სამსახურის მუშაკებს აქვთ, ამიტომ ანაზღაურებაც შესაბამისი უნდა იყოს.

**- ერთ ხანს პოლიტიკაში იყავით...**

- ოთხი წლის განმავლობაში შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და პასუხისმგებელი მუშაკი ვიყავი. ამომრჩეველთა ინტერესების დაცვა, მათი პრობლემების კომპეტენტურ ორგანოებში მიტანა, წინადადებებისა და სურვილების გათვალისწინება ჩემი მუშაობის ამოსავალი წერტილი იყო. წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობა ახალ სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე საქმიანობით ჩავანაცვლე.

**- ყველა პარტია და მოძრაობა ცდილობს, ავტორიტეტული პიროვნებები შემოიკრიბოს. ოპოზიციისგან შემოთავაზება რომ მიიღოთ...**

- არ მიყვარს ის პოლიტიკოსები, რომლებიც პარტიებს წამდაუწუმ იცვლიან და კიდევ, რაღაცაზე გული მოუვათ და იმუქრებიან სხვა პარტიაში ან მოძრაობაში გადასვლით. მე იქ ვდგავარ და ვიდგები, სადაც ერისა და ქვეყნის მომავალი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ასე მოდიოდნენ ჩემი წინაპრები და ამ გზას ვერც მე გადავუხვევ. თანამდებობას მამაჩემი მდინარისპირა ჭალას ადარებდა, იმ ჭალას, რომელსაც ერთ დროს ადიდებული მდინარე წალეკავს და აღარაფერი დარჩება მისგან. თანამდებობის პირი, პირველ რიგში, საზოგადოებასთან ურთიერთობით, ოჯახური ტრადიციებით მაგალითის მიმცემი უნდა იყოს სხვებისთვის. ორი ვაჟის მამა შვილებს ადამიანების სიყვარულს, მათ თანადგომას ვასწავლი, მიმართლებენ კიდეც. მშობლებმა ალალი შრომით მოიპოვეს სახელი და ამ მონაპოვარს თვალისჩინივით ვუფრთხილდები.

# ახალი პროექტები

***ქედაში სოფელი ახო იმ დასახლებული ტერიტორიების ჩამონათვალშია, სადაც მოსახლეობა ისევ რჩება და სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვან პროგრამებსა და პროექტებს ახორციელებს. მათ ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელებიც მხარს უჭერენ***



დასრულდა სოფელ ახოში მისასვლელ გზაზე საყრდენი კედლისა და საავტომობილო გზის მნიშვნელოვან მონაკვეთზე ცემენტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები, რომელსაც კონკურსში გამარჯვებული ფირმა შპს „მთაგორი“ ახორციელებდა. პროექტის ღირებულება 197 409 ლარია.

სოფელ გეგელიძეებში, საცხოვრებელ სახლებთან, საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც შპს „ლდ.გრუპი“ ახორციელებს. პროექტის ღირებულება თითქმის 84 ათასი ლარია. აღნიშნული პროექტები შიდა სასოფლო-საუბნო გზების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე და მერიის წარმომადგენლები ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულებულ პროექტებსა და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნენ.

# შეხვედრა – შემოქმედ ადამიანებთან

***ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა, ლეილა ლემსაძისა და ნარგიზ კახიძის ორგანიზებით, სკოლაში აჭარაში მომუშავე ცნობილი მწერლები და პოეტები: ბელა ქებურია, ცისანა ანთაძე, მარიკა ლაშხია, ვახტანგ გოგრაჭაძე, მსახიობი ზურაბ ცინცქილაძე მოიწვიეს. ლეილა ლემსაძე ამავე სკოლის ინკლუზიური განათლების სპეცმასწავლებელი, ფილოლოგი და წიგნის ავტორია, რომელშიც შეტანილია მისი რომანი „დაკარგული სიყვარული“ და რამდენიმე ლექსი***



ღონისძიებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები გულდასმით ისმენდნენ პოეტების წაკითხულ ლექსებს, გაეცნენ მსახიობ ზურაბ ცინცქილაძისა და მწერალ, კინორეჟისორ ვახტანგ გოგრაჭაძის სამომავლო გეგმებს. ისინი მოსწავლეებს შეჰპირდნენ გარკვეულ თანადგომას შემოდგომაზე გასამართ კინოფესტივალზე წარსადგენი დოკუმენტური ფილმის მომზადებაში. შეხვედრას ხელვაჩაურის რესურსცენტრისა და ბაგა-ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები თამარ ჯაბნიძე, თამარ ჩოხარაძე, ნინო თურმანიძე ესწრებოდნენ.

- შემოქმედ ადამიანებთან შეხვედრამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სტუმრები შეგვპირდნენ, რომ სკოლასთან, პედაგოგებთან ურთიერთობებს მომავალშიც გააგრძელებენ. ჩვენც სიამოვნებით ვუმეგზურებთ მათ, - გვითხრა ლეილა ლემსაძემ.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

# ვახტანგ (ტუხა) ქორიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელ ვახტანგ ქორიძეს „აჭარაბეთ არენაზე“ ვარსკვლავი გაუხსნეს. ის სხვადასხვა დროს იცავდა ბათუმისა და თბილისის „დინამოს“, ლანჩხუთის „გურიის“ ღირსებას, იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი, ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელი და ფინალისტი (თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში), საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, არის ღირსების ორდენისა და საქართველოს სპორტის რაინდის წოდების მფლობელი. მან თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 146 შეხვედრა ჩაატარა და 22 გოლი გაიტანა. ამჟამად საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა გაერთიანების პრეზიდენტია*

ვახტანგ ქორიძე, ჩელებაძის შემდეგ მეორე ფეხბურთელია, ვისაც სტადიონის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს.

ცერემონიას დაესწრნენ ვეტერანი ფეხბურთელები, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ დედაქალაქიდან. ვარსკვლავის გახსნა ვეტერანს მიულოცეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ.

„აჭარაბეთმა“ ვახტანგ ქორიძეს საჩუქრად 10 000 ლარი გადასცა.

ფაქტის შესახებ მკითხველს წინა ნომერშივე ვაუწყეთ. დღეს გთავაზობთ კომენტარებს, რომლებიც ვეტერან ფეხბურთელებს ვთხოვეთ.



**ოთარ გაბელია:**

- ჩვენ დღესაც ვმეგობრობთ ოჯახებით. ის უდიდესი ფეხბურთელი იყო, ყველა დიდ გამარჯვებაში მონაწილეობდა, ერთ-ერთი საუკეთესო მცველი გახლდათ ქართული ფეხბურთის ისტორიაში. ასეთი ხალხი ყოველთვის დასაფასებელია და მიხარია, რომ დღეს სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს. აჭარაში კიდევ არაერთი კარგი ფეხბურთელი გვყავს, რომელთა შრომაც დასაფასებელია. მადლობა ყველას, ვინც დღეს ტუხა გამოარჩია.

**რეზო ჩელებაძე:**

- ტუხა ერთი-ერთი უნიკალური, უდიდესი და ღირსეული ფეხბურთელია ქართული ფეხბურთის ისტორიაში. დიდი ხანია, ეს ვარსკვლავი ეკუთვნოდა. ჩვენ ორმოცდაათწლიანი მეგობრობა, სითბო და სიყვარული გვაკავშირებს. ისიც მიხარია, რომ ჩვენი ვარსკვლავები ასე ერთად, გვერდიგვერდაა. მინდა მას ვუსურვო დღეგრძელობა, ჯანმრთელობა, ბედნიერება.

**რეზო ძოძუაშვილი:**

- ვახტანგ ქორიძის ფეხბურთთან დაკავშირებული წლები იყო საუკეთესო. გამორჩეული გონების, ორთაბრძოლაში უშიშარი, ვაჟკაცი პიროვნება გახლდათ. ყველაფერთან ერთად, მას მოედანზე ლიდერობის ნიჭიც ჰქონდა. მომავალი თაობისთვის კარგი პედაგოგიც იყო, დღეს ვეტერან ფეხბურთელებს ხელმძღვანელობს. კარგია, რომ ასე მოეფერა მშობლიური ქალაქი, დააფასა ქართულ ფეხბურთში შეტანილი მისი წვლილი. კიდევ ბევრი მომავალი თაობა აღზრდილიყოს ტუხა ქორიძის მაგალითზე.

**ასლან ბალაძე:**

- სასიხარულოა, რომ „აჭარაბეთ არენაზე“ კიდევ ერთი ვარსკვლავი გაიხსნა და დაფასდა გამორჩეული ადამიანის ღვაწლი. ჩვენ კიდევ ბევრი სპორტსმენი გვყავს ღირსეული და გაგრძელდება ეს კარგი ტრადიცია, რომელიც ჩვენმა ქალაქმა წამოიწყო. ვულოცავ ბატონ ვახტანგს, ის ნამდვილად იმსახურებდა ამას, რადგან ქართული ფეხბურთისთვის ძალიან დიდი საქმე აქვს გაკეთებული.

**ნოდარ ხიზანიშვილი:**

- ტუხა, არავის ეწყინება, თუ ვიტყვი: როგორც ფეხბურთელი, აჭარაში მოვლენა იყო. დაახლოებით 6 წელი ვითამაშეთ ერთად თბილისში, მერე 2 წელი - აქ. მოაზროვნე ფეხბურთელი იყო, ძლიერი დარტყმები ჰქონდა... მას დამსახურებულად გაუხსნეს ვარსკვლავი, რადგან ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებს.

- ძალიან დიდი მადლობა ჩემს ბათუმს, აჭარას, რომ ასეთი დღესასწაული მომიწყო. ეს ყველაზე ლამაზი დღე იქნება ჩემს ცხოვრებაში. მადლობა ყველას, ვინც ამ ვარსკვლავის გახსნაში მონაწილეობდა, - თქვა ტუხა ქორიძემ.

ამავე დღეს ვახტანგ ქორიძე, რევაზ ჩელებაძე და ასლან ბალაძე საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების საპატიო წევრებად აირჩიეს.

# ქართული ოპერა „დაისის“ პრემიერა არა მარტო გაიმართება მასიმო ბელინის თეატრში, არამედ...

პირველი გვერდიდან

დასასრულ, ბარემ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ფრიად სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ზაქარია ფალიაშვილმა ოპერა „დაისი“ 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების ტრაგედიას მიუძღვნა, ოპერის მთავარ გმირს კი მარო 1921 წლის თებერვალში საქართველოს ანექსიის წინააღმდეგ ბრძოლებში გმირულად დაღუპული 19 წლის სტუდენტის, მარო მაყაშვილის ხსოვნის პატივსაცემად დაარქვა. სწორედ ამიტომ 70 წლის განმავლობაში მიჩქმალული იყო ოპერის შექმნის ეს ისტორია. და დღეს სწორედ მარო მაყაშვილის ოცნების ახდენას - თავისუფალი, ძლიერი, ევროპული საქართველოს შესახებ, ემსახურება ქართული ოპერის იტალიურ სცენაზე აჟღერება.

**მარი მიდასელი**




«აჭარაში»
განთავსებული
განცხადებების
ღირებულება



სამგლოვიარო
განცხადება:
სიტყვა
30 თეთრი

ნეკროლოგი:
სიტყვა 30
თეთრი



მილოცვა:
სიტყვა 50
თეთრი

აუქციონები:
სიტყვა 50
თეთრი



ფოტომილოცვა:
ფოტო 5 ლ.
სიტყვა 50 თ.

# „ორპოლუსიან ბრძოლაში მმართველ პარტიას გამარჯვების მეტი შანსი აქვს“

მე-3 გვერდიდან

**- ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ მმართველ პარტიას ხელს აძლევს „ნაცმოძრაობის“ შენარჩუნება ასეთი სახით...**

- ცხადია, ასეა! ბოლო წლებში ხელისუფლება არჩევნებში მხარდაჭერას ინარჩუნებს ზუსტად იმ ფონზე, რომ „ნაცმოძრაობა“ ჰყავს კონკურენტად, ხალხს არ უნდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება. ალტერნატიული ცენტრი უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ამ გაბრაზებული ელექტორატის ხმა მათთან, ანუ მესამე ცენტრთან წამოვიდეს. ეს პოლუსი უნდა წარმოიქმნას და ამას ყველაზე კარგად პროდასავლური ერთობა შეძლებს.

**- საპარლამენტო და ადგილობრივმა არჩევნებმა ცხადყო, რომ მოსახლეობა ინდიფერენტულია, რას აკეთებს თქვენი პარტია, რომ პასიური ამომრჩეველი არჩევნებზე მივიდეს?**

- ჩვენ ვმუშაობთ ძალიან ბევრი მიმართულებით, მათ შორის ახალგაზრდული ბანაკების კუთხითაც, ვცდილობთ, რომ გარკვეული სეგმენტები დავაინტერესოთ პოლიტიკაში ჩართვით. ცხადია, რაც უფრო მეტი იქნება აქტივობა არჩევნებზე, მეტია შანსი, რომ მმართველი ძალა ხელისუფლებაში არ დარჩეს.

**- საგარეო საკითხსაც შევეხოთ, ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე აცხადებს, რომ თუ კანდიდატის სტატუსი არ მოგვანიჭეს, საქართველოში დესტაბილიზაცია მოხდება, რას ფიქრობთ?**

- ეს შეიძლება უტრირებული ნათქვამი იყოს, თუმცა თუ კანდიდატის სტატუსი ვერ მივიღეთ, ამას, ცხადია, პროტესტი მოჰყვება. მმართველი პარტია უკვე ამაზეც ფიქრობს და ისეთ პოლიტიკას ატარებს, რომ ფიასკოს შემთხვევაში ოპოზიცია დაადანაშაულოს. კონკრეტულ 12 პუნქტთან დაკავშირებით ხელისუფლება აცხადებს, რომ დეოლიგარქიზაციის კანონის გარდა ყველა შეასრულა, არადა, ერთადერთი, რაც შესრულებულია, სახალხო დამცველის არჩევაა.

**- დაბოლოს, რუსეთ-უკრაინის ომი ახალ ფაზაში გადავიდა, უკრაინული არმია წარმატებულ კონტრშეტევას ახორციელებს. რამდენად მოსალოდნელია, რომ რუსეთმა აგრესია სხვა ქვეყნისკენაც მიმართოს?**

- უდავოა, რომ უკრაინა თანმიმდევრულად აღწევს წარმატებას ფრონტზე, მას მთელი მსოფლიო ეხმარება. ამ ომის შედეგი ყველა შემთხვევაში იქნება რუსეთის დამარცხება, უკრაინა კი გაიმარჯვებს. გამარჯვებაში ვგულისხმობ ყირიმის და დონეცკის რეგიონის სრულად გათავისუფლებას, ეკონომიკური პრობლემები რუსეთში სახეზეა, არსებობს საფრთხე, რომ კრემლმა ახალი აგრესია განახორციელოს მეზობელი ქვეყნების მიმართ. ამ მხრივ პუტინს სალაპარაკო არ უნდა მივცეთ (რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვა - სამეზობლოში), ამიტომ არის სახიფათო რუსეთის მოქალაქეების შემოსვლა ქვეყანაში. შეიძლება პუტინმა საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით მორიგი აგრესია წამოიწყოს საქართველოში და გაიმყაროს ავტორიტეტი რუსეთში. სწორედ ამის საშუალება არ უნდა მისცეს ჩვენმა ხელისუფლებამ, თუმცა აქეთკენ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს ჯერ ვერ ვხედავ.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

## გამოსათხოვარი - მეგობარს

# მარინა ხანთაძე



ქვეყანას, სამეგობროს, ოჯახს გამოაკლდა საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნეიშენალის“ წევრი, საპატიო ბათუმელი მარინა ხანთაძე.

იგი აღნიშნული ორგანიზაციის დაარსების დღიდან სათავეში ედგა სახალხო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური საგის“ საინიციატივო ჯგუფს, აქტიურად იყო ჩართული ეროვნული მიზნებისთვის აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა, ქართულ-აფხაზური ოჯახების გააქტიურების, ენგურს გაღმა დარჩენილ სანათესაოსთან სწორი ინფორმაციის მიტანისა და დღეს არსებული ვითარების დარეგულირებისთვის მრავალი სხვადასხვა მასშტაბური ღონისძიების მომზადებაში.

ქალბატონი მარინა ხელმძღვანელობდა და ძალისხმევას არ იშურებდა აჭარაში მცხოვრები აფხაზების სურვილის - დაბრუნებოდნენ ძირძველ, ქრისტიანულ სარწმუნოებას, ასრულებისთვის. იგი საქართველოს საპატრიარქოში არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრის, ნათლობისა და სხვა ღონისძიებების მოწყობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ. დარწმუნებული იყო, რომ უხმაუროდ, დიდი სიყვარულით დაწყებულ ამ საქმეს კარგი დასასრული ექნებოდა. სამწუხაროა, რომ ქალბატონი მარინა ამას ვერ მოესწრო, მაგრამ აჭარა არ დაივიწყებს ამ ნათელი პიროვნების ღვაწლს, ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებს და დააფასებს მის დამსახურებას ქვეყნის წინაშე.

**საქართველოს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია**

**„სოროპტიმისტ ინტერნეიშენალის“ კლუბი „ბათუმი“**

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/06/23, 21 25 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# რევაზ ლალიძის გოგონათა გუნდი 15 წლისაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ბათუმის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლის გოგონათა ცნობილ გუნდს (ხელმძღვანელი - 2015 წლის თბილისის ეროვნული საგუნდო კონკურსის საქართველოს საუკეთესო ქორმაისტერი, 2019 წლის - „რჩეული ხელოვანი“, 2020 წლის - „წლის ხელოვანი“ მაგდა მათითაიშვილი) 15 ივნისს 15 წელი შეუსრულდა, საიუბილეო საღამო, სიმბოლურად, სწორედ 15 ივნისს გამართეს და კონცერტზეც ცნობილი უცხოელი და ქართველი კომპოზიტორების ზუსტად 15 საგუნდო ნაწარმოები შეასრულეს...*

ბედნიერი და ამაყი იდგა სცენაზე იმ დღეს მაგდა მათითაიშვილი აღსაზრდელებთან ერთად, რომელმაც ამ საოცარი კოლექტივის 15-წლიანი შემოქმედება ფართო აუდიტორიას ბათუმის ხელოვნების ცენტრში წარუდგინა. არანაკლებ ბედნიერი იყო მსმენელი შესანიშნავ კოლექტივთან შეხვედრით და ამის დასტურად, ყოველი სიმღერის შემდეგ, მხურვალე ტაშით აჯილდოებდა. თავისი შემოქმედება გუნდის მეოთხე და მეხუთე თაობის წარმომადგენლებმა შემოგვთავაზეს. გუნდსა და მის ხელმძღვანელთან ერთად, რა თქმა უნდა, აღნიშვნის ღირსია კონცერტმაისტერი სალომე სურმანიძე, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს გუნდის წარმატებაში. საღამო ილია შავიშვილსა და თეონა ზედანიას მიჰყავდათ.

კონცერტი გახსნა მეხუთე თაობის გოგონათა გუნდმა კომპოზიტორ გვენ ჰესტერის „ღამის სიმღერით“, რომელიც ორიგინალურად შესრულდა. გუნდმა ამავე შემადგენლობით წარმოგვიდგინა ჯორჯ გერშვინის „Wonderful-I“, ხოლო შემდეგ, დისნეილენდის ჯადოსნურ სამყაროში გვამოგზაურა.

აღიარება თავისით არ მოდის, მას დიდი და დაუღალავი შრომა სჭირდება. ამ თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რომ გუნდი, რომელიც ორიგინალური რეპერტუარით გამოირჩევა, არაერთი მსოფლიო, საერთაშორისო, ეროვნული თუ რეგიონალური კონკურსისა და ფესტივალების გამარჯვებული და გრანპრის მფლობელია. ამაში უდავოდ დიდია ნიჭიერი შემოქმედის, კრეატიული, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, ბავშვებისთვის საყვარელ პედაგოგ მაგდა მათითაიშვილის წვლილი, რომელიც მუდამ ახლის ძიებაშია, გამოირჩევა საკუთარი ხელწერით.

შემოთავაზებული ვიდეორგოლით გოგონათა გუნდის წარმატებები შეგვახსენეს. შემდეგ სცენა უფროსი თაობის გოგონებს დაეთმო, რომლებმაც ბრამსის, ბეგლარიშვილის, ჯონსონის, ჰუგო ჰამერსტონის, ივო ანრტონინისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები შეასრულეს.

გუნდს რამდენიმე კლიპიც აქვს



გადაღებული, რომელთა შორის გამორჩეულია ნოდარ ფალავას ნაწარმოებზე შექმნილი „ხორუმი“. კლიპი, რომელსაც სოციალურ ქსელში მილიონზე მეტი ნახვა აქვს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გადაიღეს. მასში გოგონათა გუნდთან ერთად, ორი უნიჭიერესი ახალგაზრდა პიანისტი სანდრო ნებიერიძე და სანდრო გეგეჭკორი მონაწილეობს. საფინალო სიმღერა გაერთიანებულმა გუნდმა შეასრულა.

ამაღლებული და გამორჩეული კონცერტის დამთავრების შემდეგ, მაგდა მათითაიშვილმა მადლობა გადაუხადა არაერთ ადამიანს თუ დაწესებულებას თანადგომისთვის, მათ შორის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილს, მინისტრის მოადგილეს აკაკი ძნელაძეს, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს (დირექტორი - გიორგი მიქელაძე, მთავარი ადმინისტრატორი - ჯაბა სალუქვაძე), პედაგოგებს, რომლებმაც შეაყვარეს ეს პროფესია და ამ სფეროში მოღვაწეობისთვის გზა დაულოცეს, მათ შორის, იამზე გველესიანს, მარინა ლომთათიძეს, ზაირა ვადაჭკორიას, ნათია ქორიძეს, სპონსორებს. განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი გამოხატა მადლიერება ბათუმის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორ ნატო ორაგველიძისადმი, რომლის ყურადღება, მხარდაჭერა მათთვის განუზომელია.

- დღეს მაგდას დღეა. მინდა მივულოცო მას, მადლობა სამინისტროს, ბათუმის მერიას, მუსიკალურ ცენტრს, მშობლებს, რომლებიც სულ ჩვენს გვერდით არიან. მიხარია, რომ ასეთი შესანიშნავი გუნდი ჰყავს სკოლას. ეს ყველაფერი ერთობლივი ძალისხმევის შედეგია, თუმცა, როცა ნიჭიერებას ვხედავ, ვცდილობ, ის მაქსიმალურად და დროულად წარმოვაჩინო. გუნდმა ასახელა არა მხოლოდ სკოლა, ქალაქი, არამედ სრულიად საქართველო. მაგდა წამყვანი ხელოვანისა და პედაგოგის სახელს დამსახურებულად ატარებს, - აღნიშნა ნატო ორაგველიძემ და მადლიერების ბარათი და სამახსოვრო საჩუქარი მაგდა მათითაიშვილსა და კონცერტმაისტერ სალომე სურმანიძეს 15-წლიანი გამორჩეული შრომისთვის გადასცა,

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელით გუნდს საიუბილეო თარიღი აკაკი ძნელაძემ მიულოცა.

მშობლების სახელით მადლობა გადაიხადა ქრისტინე მანაგაძემ.

- ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, იყო ამ გუნდის ნაწილი. უბედნიერესი ვარ, რომ საღამო ასე კარგად ჩატარდა, ამდენი განსხვავებული და პოპულარული ნაწარმოები შესრულდა. დიდი შრომა ჩადო მაგდამ, - გვითხრა სალომე სურმანიძემ.

- გუნდი - შესანიშნავი, პიანისტი - შესანიშნავი, ქორმაისტერი - არაჩვეულებრივი. კონცერტი არ იყო გადატვირთული, ყველაფერი საუკეთესო გახლდათ, - აღნიშნა პროფესორმა ირინა ხერჟმა.

- ფანტასტიკური კონცერტი იყო, თითოეული წვრილმანი ჰქონდათ გათვლილი, რეპერტუარი - კარგად შერჩეული. ბავშვები არაჩვეულებრივად მღეროდნენ, - ასე გამოხატა თავისი შთაბეჭდილება ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა ლალი ჭელიძემ.

- აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი დღით. მაგდა ჩემი უსაყვარლესი სტუდენტი იყო თბილისის კონსერვატორიაში. თავისთავად, მაგრამ ის ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებითა და საოცარი შრომისმოყვარეობით. მაგდა ყველა საუკეთესო თვისებითაა დაჯილდოებული. ეჭვიც არ შემპარვია, რომ დღეს ასეთ საოცარ საღამოს ვიხილავდი. წარმატებებს ვუსურვებ მას, - გვითხრა ამერიკის კალიფორნიის მუსიკის ასოციაციის წევრმა, ჰოლივუდის მუსიკის ფილიალის საბჭოს დირექტორმა მარინა ლომთათიძემ.

იყო მილოცვები, ფოტოსესია, ფოიერვერკი და საზეიმო ტორტი.

ჩვენც ვულოცავთ ამ შესანიშნავ კოლექტივს საიუბილეო თარიღს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.



# გოგონა, რომელიც „პირდაპირ შემოვარდა“ თეატრალურ სამყაროში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ყველასათვის საყვარელმა პოეტმა ვახტანგ ღლონტმა მორიგ სალონურ საღამოზე მიიწვია თანაქალაქელები. ამჯერად, სტუმრის ამპლუაში ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი თეო შამილაძე მოგვევლინა*

სალონურ საღამოს თეოს ოჯახი, ახლობლები და ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობები ესწრებოდნენ. მათ დიდი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენეს თეოს დედა - მსახიობი ცირა აბზიანიძე, ისაუბრეს მის შემოქმედებაზე, ოჯახზე. გაიხსენეს მისი კარიერული წარმატებები. კოლეგებმა კარიერაში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თეოს სცენაზე დაბრუნება მიულოცეს (იგი 5-6 წლის განმავლობაში დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა). ეკრანზე თეოს მონაწილეობით სხვადასხვა სპექტაკლიდან ვიდეოკადრები აჩვენეს, რომლებმაც კიდევ უფრო გაალამაზა საღამო.

ღია მიკროფონთან პირველი ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი კახა კობალაძე გავიდა:

- ზოგადად, როცა ადამიანი თეატრში სამუშაოდ მოდის, ადაპტაციის პროცესი უნდა გაიაროს, შეგუება უნდა შეძლოს, სანამ საკუთარ ადგილს იპოვის, რაღაცებს დაალაგებს... თეო კი პირდაპირ შემოვარდა თეატრალურ სამყაროში საკმაოდ ძლიერი ნაბიჯებით, ძალიან ამაყად. სასიამოვნოდ მიკვირდა, რომ ასეთი ენერგიით შემოვიდა. სიმართლე გითხრათ, თავიდანვე, ძალიან მოკლე დროში, მოახერხა, ეპოვა თავისი ნიშა, თავისი ადგილი. მახსოვს, პირველი შეხება ჩვენ სპექტაკლ „დარისპანის გასაჭირში“ გვქონდა, რომელიც რობიკო სტურუამ დადგა და რის რობიკო იქნებოდა, თავისი შტრიხები რომ არ შეეტანა... კაროჟნას პერსონაჟს ისედაც ერთი-ორი სიტყვა აქვს, რობიკომ კი ისიც ამოუღო და მხოლოდ ჟესტიკულაციასა და მოქმედებებზე ააგო სცენები. თქვენ წარმოიდგინეთ, უსიტყვოდ ისეთი ძლიერი სახე შექმნა თეომ, ვის ახსოვდა შენი დარისპანი და მართა, კაროჟნათი იყვნენ აღფრთოვანებულები. დღესაც დიდი სიამოვნებით ვუყურე მის კადრებს, როგორ მუშაობს მიმიკით, სახით, გამომეტყველებით, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ძალიან ახალგაზრდა იყო. ერთად გვითამაშია სპექტაკლში „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით“, სხვა სპექტაკლებშიც და ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი თეოს შემოქმედებით. მართალია, რაღაც პერიოდი თეატრს გამოეთიშა, მაგრამ როცა დაბრუნდა, თითქოს არ ყოფილა არანაირი წყვეტა. ისევ ისეთი ენერგიით შემოვიდა და ჩაება თეატრალურ ფერხულში.



თეოს საღამო მიულოცა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობმა ავთო ქარჩავამაც:

- თეოს ოჯახთან ძალიან ახლოს ვიყავი, ფაქტობრივად, თავს ოჯახის წევრად ვთვლიდი და დღემდე ასეა. დროს მნიშვნელობა არ ჰქონდა, დილის 5 საათამდეც დავრჩენილვარ მათთან. მისი დაბადებაც მახსოვს. ბევრჯერ პარტნიორებიც ვყოფილვართ სხვადასხვა სპექტაკლში. „კალიფორნიულ სიუიტაში“ იმდენს ვატარებდი ხელით და ზურგით, 2 კვირაში 18 კილო დავიკელი (იცინის). ჩემი შემოქმედების განმავლობაში დაახლოებით 30-მდე როლი მაქვს ნათამაშები, აქედან რამდენიმე სპექტაკლი - ქალბატონ ცირასთან ერთადაც. შეუდარებელი, საოცარი მსახიობი გახლდათ. ძალიან მიხარია დღევანდელი საღამო. ამ ყველაფერს თეოს შვილი ესწრება და უყურებს, ასევე, მისი საუკეთესო მეგობრები. გახარებული ვარ, რომ თეატრს დაუბრუნდა, მინდა ბატონ ვახტანგს დიდი მადლობა გადავუხადო ამ საღამოსთვის, ასევე, ბატონ თენგიზ შამილაძეს, ჩვენს კომპოზიტორს. თეო, ძალიან მიყვარხარ და გისურვებ წარმატებებს!

საღამოს დასრულების შემდეგ თეო შამილაძესა და ვახტანგ ღლონტს კომენტარი ვთხოვეთ.

- პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ, მსახიობებს, გარდა იმისა, რომ მაყურებელი გვყავს, როლებს ვთამაშობთ, შინაგანი ემოციებისგან დაცლა, გრძნობების გადმოფრქვევა სცენის მიღმაც გვჭირდება. საჭიროა ასეთი საღამოები, სატელევიზიო რუბრიკები მსახიობებზე, ხელოვანებზე... ვფიქრობ, ეს მსმენელისთვისაც და მკითხველისთვისაც საჭიროა. მსახიობები სცენაზე ვდგავართ და შემდეგ ეს ყველაფერი, მათი ნამუშევარი ქრება, ნელ-ნელა იკარგება და ისევ თავიდან უნდა ვახსენოთ მაყურებელს თავი. მინდა ჩემს კოლეგებს მადლობა ვუთხრა, რომლებმაც ასეთი თბილი სიტყვებით და მოგონებებით შემამკეს, დაამშვენეს საღამო, რომელიც მათი დამსახურებით, წარმატებულად შედგა. მადლობა მათაც, ვისაც გულით უნდოდა მოსვლა და ვერ შეძლო. რაღა თქმა უნდა, მადლობა ბატონ ვახტანგ ღლონტს მოწვევისთვის, - გვითხრა თეო შამილაძემ.

- თეო თეატრალური ოჯახიდანაა. ძალიან კარგად მახსოვს მისი დედა ცირა აბზიანიძე - უნიჭიერესი მსახიობი, მამა, თენგიზ შამილაძე, მუსიკოსია. არაერთხელ მინახავს ჩვენი თეატრის სცენაზე სპექტაკლები თეოს მონაწილეობით და მინდა აღვნიშნო, რომ ის ყოველთვის ყველასგან გამოირჩეოდა. ჩვენ სამ დროში გვაინტერესებს ადამიანი და თეო ამიტომაც მოვიწვიე. სხვათა შორის, ჰგავს თავის დედასაც - სცენაზე ლიდერული თვისებებით, ყველა მსახიობს ეს არ „ემართება“. ის თეატრის სცენას ახლახან დაუბრუნდა. ჩვენ ხომ იმისთვის ვარსებობთ, რომ წავახალისოთ, მოვეფეროთ... შეიძლება ამ საღამოებზე 17 წლის დამწყები პოეტიც იყოს მოწვეული და ასაკოვანი ადამიანიც. კიდევ კარგი, მოვასწარი და მანუჩარ შერვაშიძესაც გავუკეთე საღამო, უკვე 90 წელს მიღწეულს. ეს ბათუმური საღამოები სიყვარულის ერთგვარი გაკვეთილებია, მადლიერების საღამოებია და მიხარია, რომ ამ შემთხვევაში თეოს ძვირფას ოჯახთან მოვიხადე ჩემი ადამიანური ვალი, - გვითხრა ვახტანგ ღლონტმა.